

ინფლაციის მიმოხილვა



საქართველოში ცენტრალური ბანკი
პირველად 1919 წელს დაფუძნდა

2010

საქართველოს
ეკონომიკი ბანკი

124

საქართველოს ეროვნული ბანკი

ინფლაციის მიმოხილვა
2010 წ. IV კვარტალი

თბილისი

სარჩევი

1.	შესავალი.....	5
2.	სამომხმარებლო ფასაბის ცვლილება.....	7
3.	ინფლაციის ფაქტორები.....	13
3.1	შრომის ბაზარი	13
3.2	მონეტარული აგრეგატები.....	15
3.3	მონეტარული ინსტრუმენტები.....	17
3.4	ბანკთაშორისი სესხები.....	20
3.5	საბანკო სექტორი.....	21
3.6	გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები.....	26
3.7	გამოშვება და მოთხოვნა.....	29
3.7.1	კერძო და სახელმწიფო მოხმარება.....	31
3.7.2	ინვესტიციები.....	32
3.7.3	2010 წლის პროგნოზი.....	32
3.8	საგარეო ვაჭრობა.....	39
3.9	სამთავრობო ოპერაციები.....	41
4.	ინფლაციის პროგნოზი.....	43
5.	მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებები.....	45

ჩანართი

ჩანართი N 1.	სურსათის წილი სამომხმარებლო კალათაში და ინფლაცია.....	11
ჩანართი N 2.	დროის რეალურ რეზიმში ანგარიშსწორების (RTGS) ახალი სისტემა.....	19
ჩანართი N 3.	მაკროპრედნციურიპოლიტიკისგამვაცრება.....	25
ჩანართი N 4.	2011 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი.....	34

დიაგრამები

დიაგრამა N 2.1	სურსათის ინფლაციის წვლილი წლიურ ინფლაციაში	7
დიაგრამა N 2.2	წლიური ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა	
ხანგრძლივობის	მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის.....	8
დიაგრამა N 2.3	წლიურიინფლაციასაქონლისწარმოებისადგილმდებარეობისმიხედვით.....	8
დიაგრამა N 2.4	სავაჭრო და არასავაჭრო საქონლის ინფლაცია.....	9
დიაგრამა N 2.5	წლიური სფი და საბაზო ინფლაცია (2009 წლის დეკემბრიდან მოქმედი	
სამომხმარებლო	კალათის 266 კომპონენტის მიხედვით).....	9
დიაგრამა N 2.6	ფასების ზრდა 2009 წლის დეკემბერთან შედარებით.....	9
დიაგრამა N 2.7	სურსათის წილი სამომხმარებლო კალათაში.....	11
დიაგრამა N 3.1	დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობათა	
სახეების	მიხედვით 2010 წლის II კვარტალში (ლარი).....	15
დიაგრამა N 3.2	შრომის პროდუქტიულობა, დაქირავებულთა საშუალოთვიური ხელფასი	
და პროდუქციის ერთეულზე პერსონალის ხარჯი (წლიური პროცენტული ცვლილება).....	15	
დიაგრამა N 3.3	სარეზისტროფულის ცვლილება.....	15
დიაგრამა N 3.4	ლარის ლიკვიდობა.....	17
დიაგრამა N 3.5	ლიკვიდური აქტივების, ვალდებულებების, ლიკვიდობის კოეფიციენტისა	
და ლიკვიდობის	მოთხოვნის დინამიკა.....	17
დიაგრამა N 3.6	სადებოზიტოსერთიფიკატებიაუქციონებისდინამიკა.....	18
დიაგრამა N 3.7	საბანკო სისტემიდან სებ-ის მიერ სადეპოზიტო სერთიფიკატებით ლიკვიდობის	
ამოღება,	კომერციული ბანკებისათვის სესხების გაცემა და ლიკვიდობის წმინდა მიწოდება.....	18

დიაგრამა N 3.8 წმინდა მიწოდების (ამოღება) ფარდობა სარეზერვო ფულთან.....	18
დიაგრამა N 3.9 RTGS-ის მეშვეობით განხორციელებული გადარიცხვები (2002-2010 წწ).....	20
დიაგრამა N 3.10 ბანკთაშორის მოკლევადიანი სესხების ინდექსები და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი.....	20
დიაგრამა N 3.11 ლარის დეპოზიტების შემადგენლობა.....	21
დიაგრამა N 3.12 უცხოური ვალუტის დეპოზიტების შემადგენლობა.....	22
დიაგრამა N 3.13 დეპოზიტები ეროვნული ვალუტით.....	22
დიაგრამა N 3.14 დეპოზიტები უცხოური ვალუტით.....	22
დიაგრამა N 3.15 მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით.....	23
დიაგრამა N 3.16 მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით.....	23
დიაგრამა N 3.17 გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით.....	24
დიაგრამა N 3.18 გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით.....	24
დიაგრამა N 3.19 ვადაგადაცილებული დავალიანებები.....	24
დიაგრამა N 3.20 სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები.....	25
დიაგრამა N 3.21 ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის დინამიკა (2008-2010 წლები).....	26
დიაგრამა N 3.22 ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი (2008-2010 წლები).....	27
დიაგრამა N 3.23 ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი (2008-2010 წლები).....	27
დიაგრამა N 3.24 სავალუტო ბაზარზე სებ-ის მიერ განხორციელებული ინტერვენციები.....	27
დიაგრამა N 3.25 სავალუტო ბაზარზე სებ-ის მიერ განხორციელებული წმინდა შესყიდვები.....	28
დიაგრამა N 3.26 საქართველოს მიმღინარე ანგარიშისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა.....	28
დიაგრამა N 3.27 საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.....	28
დიაგრამა N 3.28 სესხების და დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტები.....	28
დიაგრამა N 3.29 საქართველოს მშპ-ის წამყვანი სექტორების რეალური ზრდის დინამიკა.....	30
დიაგრამა N 3.30 საქართველოს ნომინალური მშპ - გამოყენება ძირითადი კატეგორიების მიხედვით.....	31
დიაგრამა N 3.31 საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდა.....	33
დიაგრამა N 3.32 ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო დეფიციტი და სავაჭრო ბრუნვა.....	39
დიაგრამა N 3.33 წამყვანი საექსპორტო პროდუქცია 2009 წლის და 2010 წლის მეოთხე კვარტალებში.....	40
დიაგრამა N 3.34 ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა.....	42
დიაგრამა N 4.1 წლიური ინფლაციის პროგნოზი ცალკეული კომპონენტების პროგნოზირების საფუძველზე.....	44
დიაგრამა N 4.2 ინფლაციის პროგნოზი (ეკონომეტრიკული მოდელის მიხედვით).....	44
ცხრილები	
ცხრილი N 2.1 ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი).....	10
ცხრილი N 3.1 2010 წლის III კვარტალში ერთ დასაქმებულზე წარმოებული რეალური დამატებითი ღირებულება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.....	13
ცხრილი N 3.2 2010 წლის III კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2009 წლის III კვარტალთან შედარებით.....	14
ცხრილი N 3.3 სარეზერვო ფულის დინამიკა.....	16
ცხრილი N 3.4 საშუალო სარეზერვო ფულის დინამიკა.....	16
ცხრილი N 3.5 ფულადიაგრეგატების ცვლილება.....	16
ცხრილი N 3.6 ეკონომიკური სექტორების წვლილი ქვეყნის რეალურ მშპ-ის ზრდაში.....	30
ცხრილი N 3.7 წარამეტრიკული სპარამეტრები.....	41

1. შესავალი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2010 წლის დეკემბრის ბოლოსთვის წლიურმა ინფლაციამ 11.2 პროცენტი შეადგინა. საბაზოს ინფლაციის მაჩვენებელმა 2010 წლის მეოთხე კვარტალში 7.7 და 7.6 პროცენტი შეადგინა შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისთვის. კვარტალის ინფლაციაში სურსათზე ფასების ზრდით გამოწვეული ინფლაციის ნილი 86 პროცენტს შეადგენს, როდესაც გასული წლების განმავლობაში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 50 პროცენტს უტოლდებოდა. ინფლაციაში სურსათის ნილის ზრდა განპირობებული იყო ამ ჯგუფის პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდით, რაც თავის მხრივ 2010 წელს მომზდარი ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ცუდი მოსავლიანობის გამო საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის მკვეთრი გაძვირების შედეგია. ფასები გაიზარდა ასევე თითქმის ყველა სახეობის არასეზონურ ხილსა და ბოსტნეულზე.

ადგილობრივი საქონლის წლიური ინფლაცია დეკემბრში 7.7 პროცენტს, ხოლო იმპორტირებულ საქონელზე 11.3 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია რომ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არასავაჭრო საქონელზე ინფლაციამ მხოლოდ 3.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო სავაჭრო საქონელზე ფასების ზრდის ტემპი 16.8 პროცენტს გაუტოლდა. ფასების ზრდის ასეთი განაწილება ნათლად მიუთითებს იმაზე რომ, ინფლაციის მაღალი დონე საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდით არის გამოწვეული და მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლა სუსტია. ინფლაციის ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვევას ასევე ადასტურებს დეკემბრის თვეში განეულ მომსახურებაზე ფასების მხოლოდ 1.5 პროცენტიანი წლიური ზრდა.

ინფლაციაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების დინამიკა მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ალინეროს: ეკონომიკაში დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობა 2010 წლის მესამე კვარტალში 6.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასში 609.5 ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში ანაზღაურების ზრდის ტემპი შენელდა წინა კვარტალთან შედარ-

ებით და 7.2 პროცენტი შეადგინა. საშუალო ხელფასისა და შრომის პროდუქტიულობის დაახლოებით ერთნაირი ტემპებით ზრდა მიუთითებს იმაზე რომ, პროდუქციის ერთეულზე პერსონალის ხარჯი თითქმის არ გაზრდილა და შესაბამისად შრომის ბაზარს ინფლაციის დინამიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდებია.

2010 წლის მეოთხე კვარტალში 7.5 პროცენტით გაიზარდა სარეზერვო ფულის მაჩვენებელი და 1822.3 მილიონი ლარი შეადგინა. სარეზერვო ფულის წლიურმა ზრდამ 4.5 პროცენტი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ასევე 117.5 მილიონი ლარით გაიზარდა მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული და 1618.2 მილიონ ლარს გაუტოლდა. მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ზრდა ძირითადად ახალი წლის დღესასწაულის ფაქტორით იყო გამოწვეული. ამავე პერიოდში 11.0 პროცენტით გაიზარდა ფართო ფულის M2-ის მაჩვენებელი, ხოლო ფართო ფულის M3-ის აგრეგატი 405.5 მილიონი ლარით არის გაზრდილი. დეკემბრის ბოლოსთვის ფართო ფულის ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად 2,731.2 და 6,213.7 მილიონი ლარი შეადგინა.

ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის დაფიქსირებისა და ინფლაციური მოლოდინების ზრდის ფონზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის მეოთხე კვარტალში გამოკაცრა მონეტარული პოლიტიკა. ამავე პერიოდში სეპ-ი აგრძელებდა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებას საბანკო სექტორის ლიკვიდობის ეფექტური მართვისა და ამ სექტორის გაჯანსაღების მიზნით. კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე განთავსებული სახსრების საშუალო მოცულობა მეოთხე კვარტალის განმავლობაში დაახლოებით უდრის ამავე პერიოდში მინიმალური რეზერვების საშუალოდ დასაცავ ნაშთს. საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა სეპ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატებზე და ჯამში 360 მილიონი ლარი განთავსდა. საშუალო შენონილმა საპროცენტო განაკვეთმა სადეპოზიტო სერტიფიკატებზე 9.6 პროცენტი შეადგინა. ამავე დროს მეოთხე კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით 45.3 პროცენტით შემცირდა გაცემული

რეფინანსირების სესხების მოცულობა და 1,409.4 მილიონი ლარი შეადგინა. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებასთან ერთად ასევე გაიზარდა საშუალო საპროცენტო განაკვეთი და 7.4 პროცენტს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში წინა კვარტალთან 7.5 პროცენტით გაიზარდა საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა და 4,840.7 მილიონი ლარი შეადგინა. ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების ზრდის ტემპი 17.9 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული ზრდა ძირითადად იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშების ზრდაზე მოდის. უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა საანგარიშო პერიოდში 4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო თუ განვიხილავთ აშშ დოლარით გამოსახულ უცხოური ვალუტის დეპოზიტებს – ზრდის ტემპი 5.9 პროცენტს შეადგენს, რაც ლარის გაცვლითი კურსის გამყარებით არის განპირობებული. დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 2.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და დეკემბრის ბოლოსთვის 71.9 პროცენტს შეადგენს, თუმცა კვლავ მაღალი რჩება ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია და 87 პროცენტს უტოლდება. 2010 წლის მეოთხე კვარტალში 420.9 მილიონი ლარით გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა და 6,337.1 მილიონი ლარი შეადგინა. დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი 2010 წლის დეკემბრის ბოლოსთვის 20.6 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით დენომინირებული სესხების მოცულობა 39 მილიონი ლარით გაიზარდა და 1651.9 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო აშშ დოლარში გამოსახული უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 260.5 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა და 2642.8 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ზრდის ტემპი 2.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოური ვალუტის სესხებისათვის 10.9 პროცენტს. საანგარიშო პერი-

ოდში 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით მიღებულ დეპოზიტებზე და 10.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით მიღებული დეპოზიტებისთვის საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი უცვლელია და 7.6 პროცენტს უტოლდება. ანალოგიური განაკვეთები ეროვნული ვალუტით გაცემული სესხებისათვის არ შეცვლილა და 22.6 პროცენტია, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის 1.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 14.9 პროცენტი შეადგინა.

2010 წლის მეოთხე კვარტალში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 5.6 პროცენტით გამყარდა, ხოლო ნომინალური ეფექტური კურსი 2.2 პროცენტით გამყარდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ლარის გამყარება ძირითადად უცხოური ინვესტიციების, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებისა და კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში ღია პოზიციების დახურვით იყო განპირობებული. საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი მონაცემების მიხედვით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი საანგარიშო პერიოდში 356 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

2010 წლის მესამე კვარტალის განმავლობაში გაგრძელდა ეკონომიკური ზრდის ტენდენცია და რეალური მშპ-ს წლიურმა ზრდამ ამ პერიოდში 6.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო ნომინალური მშპ-ს ზრდა 17.5 პროცენტს უტოლდება. 2010 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ-ს 6 პროცენტიანი წლიური მატება არის მოსალოდნელი. არსებული შეფასებებით 2010 წლის რეალური მშპ-ს წლიური ზრდის პროგნოზი გაზრდილია და 6.5 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის პროგნოზის მიხედვით, 2011 წლის მეორე კვარტალში მაღალი ინფლაცია შენარჩუნდება, წლის მეორე ნახევარში დაიწყებს კლებას და ამავე წლის ბოლომდე 7 პროცენტამდე შემცირდება.

2. სამომხარებლო ფასების ცვლილება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამ-სახურის ინფორმაციით, 2010 წლის მეოთხე კვარტალში, მესამე კვარტალთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 3.6 პროცენტით გაიზარდა. 2009 წლის ანალიგიური მაჩვენებელი 2.3 პროცენტს შეადგენდა. შედეგად, 2010 წლის მეოთხე კვარტლის ბოლოსათვის, წლიური ინფლაცია წინა კვარტალში დაფიქსირებული 9.8 პროცენტიდან 11.2 პროცენტამდე გაიზარდა. საშუალო წლიურმა ინფლაციის მაჩვენებელმა საანგარიშო პერიოდში 0.7 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 7.1 პროცენტს მიაღწია.


კვარტალის ინფლაციაზე ძირითადი გავლენა მოახდინა სურსათზე ფასების მატებამ. როგორც ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში, საქართველოში სურსათის ხედრითი წილი სამომხმარებლო კალათაში შედარებით მაღალია და დღეისათვის 40.5 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, მაღალია ინფლაციის მაჩვენებლის მგრძნობელობა სურსათის ფასების ცვლილების მიმართ. სურსათის ფასები საერთაშორისო ბაზრებზე მნიშვნელოვანი მერყეობით ხასიათდება, რაც თავის მხრივ ინფლაციაზე აისახება, ანუ ინფლაციის მერყეობის არსებითი წილი სურსათის ფასების ცვალებადობაზე მოდის.

2006-2009 წლების განმავლობაში სურსათზე ფასების ცვლილება მთლიანი ინფლაციის საშუალოდ 50 პროცენტს შეადგენდა. 2010 წელს, გვალვების, ხანძრების და სხვა ბურებრივი კატაკლიზმების შედეგად მოსავლის გაფუჭებამ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სასურსათო პროდუქტებზე საერთაშორისო საბაზრო ფასების ფორმირების პროცესზე. მკვეთრად გაიზარდა ხორბლის ფასი, რაც პირდაპირ აისახა პურსა და პურ-პროდუქტებზე. ხორბლის გაძვირებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა როგორც საქონელ ჩამნაცვლებელი პროდუქტების (ბურღულებული, მზესუმზირა), ასევე ხორბალზე დამოკიდებული პროდუქტის (საქონლისა და ქათმის ხორცი, რძე და რძის პროდუქტები) ფასებზე. სურსა-

თის ფასების მკვეთრი მატება ასევე მნიშვნელოვნად განაპირობა ცუდი მოსავლიანობის შედეგად წარმოქმნილმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დეფიციტმა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შესაბამისად, 2010 წლის მეორე ნახევრიდან, საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის მკვეთრი გაძვირების ფონზე, სურსათზე ფასების მატებით გამოწვეული ინფლაციის წილი მთლიან ინფლაციაში თითქმის 86.0 პროცენტამდე გაიზარდა.

ძალაშრამა 2.1

სურსათის ინფლაციის წლილი წლიურ ინფლაციაში



წინა კვარტალთან შედარებით მეოთხე კვარტალში ფასების ზრდა დაფიქსირდა ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა კარტოფილი, ვაშლი, ლობიო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქონელი. სეზონური ფაქტორების გათვალისწინებით სამომხმარებლო ფასები გაიზარდა თითქმის ყველა სახეობის არასეზონურ ხილზე, ბოსტნეულსა და ბალჩიულზე. საპირისპიროდ, ფასებმა დაიკლი ციტრუსებზე, კერძოდ კი ფორთოხალზე, კინა და მანძარინზე. საანგარიშო პერიოდში, რამდენიმე თვითი ზრდის შემდეგ ფასების კლების ტენდენცია აღინიშნა ნიორზე. სამომხმარებლო ფასები შემცირდა ასევე, კომბოსტოსა და მწვანილზე.


კვარტალურად, სურსათის სასაქონლო ჯგუფიდან ფასების ზრდა დაფიქსირდა ამ ჯგუფში შემავალ ყველა კატეგორიაზე.

საანგარიშო პერიოდში, წინა კვარტალთან შედარებით სამომხმარებლო ფასების მატება მნიშვნელოვნად განაპირობა როგორც კომუნალური, კერძოდ კი, წყლის გადასახადის, ასევე ავტობუსითა და მიკროავტობუსით მგზავრობის ღირებულების ზრდამ. უკანასკნელი, თავის მხრივ ბენზინსა და დიზელის საწვავზე ფასების აწევის შედეგია.

სურსათის, ტრანსპორტისა და კომუნალური მომსახურების სასაქონლო ჯგუფების ანალოგიურად, ფასები გაზრდილია სხვა ჯგუფებზეც, თუმცა შედარებით დაბალი ტემპით. საპირისპიროდ,

დიაგრამა 2.2

წლიური ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა სანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



დიაგრამა 2.3

წლიური ინფლაცია საქონლის წარმოების ადგილმდებარეობის მიხედვით



ფასების კლება დაფიქსირდა – „ჯანმრთელობის დაცვასა“ და „განათლების“ სფეროების შემთხვევაში.

საბოლოოდ მეოთხე კვარტალში, წინა პერიოდთან შედარებით სამომხმარებლო კალათის ფასები 3.6 პროცენტით გაიზარდა.

როგორც უკვე აღინიშნა, 2010 წლის დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო კალათის ფასები 11.2 პროცენტით გაიზარდა. ფასები გაზრდილია დიზელსა და ბენზინზე (19.0 და 15.5 პროცენტით შესაბამისად). მაღალი წლიური ინფლაცია ძირითადად გამოწვეულია „სურსათი და უალკოჰოლო სასმელების“ კატეგორიაში შემავალ პროდუქტებსა და „ალკოჰოლიან სასმელებსა და თამბაქზე“ ფასების ზრდით. კერძოდ, საანგარიშო თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ფასების ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სასურსათო საქონელზე: „ბოსტნეული და ბალჩეული“ (44.3 პროცენტით) „ზეთი და ცხიონი“ (34.7 პროცენტით), „ხილი და ყურძენი“ (32.6 პროცენტით), „პური და პურპროდუქტები“ (19.8 პროცენტით) და „რძე, ყველი და კვერცხი“ (14.5 პროცენტით). ასევე ფასების მატება აღსანიშნავია შემდეგ კატეგორიებზე: „უალკოჰოლო სასმელები“ (12.1 პროცენტი), „შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი“ (10.9 პროცენტით), და „ხორცი და ხორცის პროდუქტები“ (10.7 პროცენტით). სასაქონლო ჯგუფში „ალკოჰოლური სასმელები, თამბაქი“ სამომხმარებლო ფასების წლიურმა მატებამ 12.4 პროცენტი შეადგინა.

წლის ბოლო კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ფასების ზრდა დაფიქსირდა „ტრანსპორტის“ სფეროში (7.2 პროცენტით). გაიზარდა ასევე რეგულირებადი ფასები „საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ კატეგორიაში შემავალ საქონელზე (2.4 პროცენტით), წყლით მომსახურების გადასახადის ზრდის ხარჯზე მოხდა.

საანგარიშო თვეში, წლიურ დონეზე ფასების შემცირება დაფიქსირდა მხოლოდ ერთ კატეგორი-

აზე. კერძოდ, სასაქონლო ჯგუფში „კავშირგაბმულობა“ შემავალ მომსახურებაზე ფასებმა 6.9 პროცენტით დაიკლო.


მეოთხე კვარტალში საბაზო ინფლაციის მაჩვენებლების მიხედვით ფასების დონის ზრდა შეინიშნება. კერძოდ, წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები 7.7 და 7.6 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისათვის.

მეოთხე კვარტალში იმპორტირებულ საქონელზე წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 11.3 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ბოლო თვეების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდებოდა, რაც საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ზრდის ტენდენციის შედეგია. ადგილობრივი საქონლის ინფლაციამ 7.7 პროცენტი შეადგინა. საინტერესოა აგრეთვე არასავაჭრო საქონლის ფასების დინამიკაზე დაკვირვება. საანგარიშო პერიოდში, არასავაჭრო საქონელზე ფასების ინფლაციამ 3.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო სავაჭრო¹ საქონელზე წლიური ინფლაცია 16.8 პროცენტი დაფიქსირდა. სავაჭრო საქონელზე ინფლაციის ასეთი ზრდა ასევე საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდით არის გამოწვეული. არასავაჭრო საქონელზე დაბალი ინფლაცია მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზენოლის სისუსტეზე მიუთითებს.

საქონლის სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების მიხედვით წლიური ინფლაციის მაჩვენებლები შემდეგია: ხანმოკლე მოხმარების საქონლისათვის სფი წლიური პროცენტული ზრდა 16.0 პროცენტს შეადგენს; საშუალო მოხმარების საქონლის ფასები 0.8 პროცენტით გაიზარდა; ხოლო ხანგრძლივი მოხმარების საქონლის შემთხვევაში წლიურ დონეზე ფასების მატებამ 4.3 პროცენტი შეადგინა. დეკვიმბრის თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, განეულ მომსახურებაზე ფასების მატება 1.5 პროცენტს გაუტოლდა.


დიაგრამა 2.4

სავაჭრო და არასავაჭრო საქონლის ინფლაცია




დიაგრამა 2.5

წლიური სფი და საბაზო ინფლაცია (2009 წლის დეკემბრიდან მოქმედი სამომხმარებლო კალათის 266 კომპონენტის მიხედვით)²



დიაგრამა 2.6

ფასების ზრდა 2009 წლის დეკემბრთან შედარებით



¹ საქონელი და მომსახურება, რომლის რეალიზაციაც შესაძლებელია წარმოების ადგილიდან მოშორებით.

²* ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.

** ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.

- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები
- აღვიპოლური სასტელები, თამაბეჭირებული და ფენეტიკული
- საცხ. სახლი, წყალი და ემერგენციული
- საჯახო სივთები და მოწყობილობა

- კანტირთულობის დაცვა
- ტრანსპორტი
- კავშირგაბმულობა
- სულ

ცხრილი 2.1

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი).


	2006 წლის დეკემბრის ნონები	2009 წლის დეკემბრის ნონები	დეკ10/სექ10		დეკ10/დეკ09		იან10დეკ10/ იან09დეკ09	
			ინფლაცია	ნელილი	ინფლაცია	ნელილი	ინფლაცია	ნელილი
სულ	100.0%	100.0%	3.6%	3.6%	11.2%	11.2%	7.1%	7.1%
სურსათი და უალკოჰოლი სასმელები	44.3%	41.7%	7.0%	3.0%	22.8%	9.1%	11.7%	4.7%
სურსათი	43.0%	40.5%	7.2%	3.1%	23.1%	9.4%	11.9%	4.8%
პური და პურპოლუქტები	12.2%	11.7%	1.7%	0.2%	19.8%	2.3%	7.4%	0.9%
ხორცი და ხორცის პროდუქტები	6.6%	6.8%	1.1%	0.1%	10.7%	0.7%	3.9%	0.3%
თევზეული	1.1%	1.3%	0.5%	0.0%	7.4%	0.1%	-0.5%	-0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	5.2%	4.8%	10.4%	0.5%	14.5%	0.7%	7.0%	0.3%
ზეთი და ცხიმი	3.5%	3.5%	2.9%	0.1%	34.7%	1.2%	9.4%	0.4%
ხილი, ყურძენი	2.3%	1.8%	13.1%	0.3%	32.6%	0.6%	24.0%	0.4%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვისანებს ჩათვლით	8.8%	7.8%	20.2%	1.8%	44.3%	3.4%	18.8%	1.5%
შაქარი, ჯერი, თაფლი, ვაშინგბი, შოკოლადი, საკონდიტრო ნინარმი	2.7%	2.3%	6.5%	0.1%	10.9%	0.3%	24.0%	0.5%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.4%	3.0%	0.0%	7.3%	0.0%	4.5%	0.0%
უალკოჰოლი სასმელები	1.3%	1.3%	3.0%	0.0%	12.1%	0.2%	4.7%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	3.7%	2.9%	2.8%	0.1%	12.4%	0.4%	7.7%	0.2%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	5.0%	4.4%	6.0%	0.2%	0.6%	0.0%	-6.6%	-0.3%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტრონერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	10.3%	13.8%	1.2%	0.2%	2.4%	0.3%	0.4%	0.1%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება	3.7%	3.5%	0.2%	0.0%	3.9%	0.1%	-0.1%	-0.0%
ჯანმრთელობის დაცვა	8.0%	8.8%	-0.1%	-0.0%	4.3%	0.4%	2.3%	0.2%
ტრანსპორტი	9.0%	9.9%	1.9%	0.2%	7.2%	0.8%	9.5%	1.0%
კავშირგაბმულობა	4.4%	4.0%	0.0%	0.0%	-6.9%	-0.3%	-2.2%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	2.7%	2.2%	0.2%	0.0%	-0.4%	-0.0%	-0.1%	-0.0%
განათლება	3.5%	4.9%	-0.9%	-0.0%	0.9%	0.0%	28.8%	1.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.4%	1.6%	0.5%	0.0%	6.1%	0.1%	4.1%	0.1%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	3.2%	2.3%	0.2%	0.0%	9.1%	0.2%	3.8%	0.1%
ხანძოები მოხმარების საქონელი	68.0%	67.9%	4.7%	3.3%	16.0%	10.9%	9.1%	6.2%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	6.5%	5.8%	4.6%	0.2%	0.8%	0.0%	-4.7%	-0.3%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	1.9%	3.4%	-1.8%	-0.1%	4.3%	0.1%	3.1%	0.1%
მომსახურება	23.6%	22.8%	0.7%	0.2%	1.5%	0.3%	4.7%	1.1%

ჩანართი 1. სურსათის ნილი სამომხმარებლო კალათაში და იფლატი

საქართველოში 2010 წელს წლიურმა ინფლაციამ 11,2 პროცენტი შეადგინა, რომელშიც სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების წლილი 9,5% იყო. 2010 წელს მსოფლიო ბაზარზე განვითარებულმა მოვლენებმა, უამინდობით გამოწვეულმა ცუდმა მოსავალმა როგორც საქართველოში, ასევე მეზობელ ქვეყნებში გამოიწვიეს საკვები პროდუქტების მიწოდების მკვეთრი შემცირება, რაც აისახა სურსათის ფასებზე და ადგილობრივ ბაზარზე მისი ზრდა გამოიწვია. მაგრამ აღსანიშნავია, რომ საკვებ პროდუქტებზე ფასების მატება უფრო მეტად დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების ინფლაციაზე აისახა, ვიდრე უფრო მდიდარი და განვითარებული ეკონომიკის ერებზე. ამ მოვლენას გააჩნია თეორიული საფუძველი, რომელიც „ენგელის კანონის“ სახელითაა ცნობილი და მე-19 საუკუნის შუა პერიოდში დაედო საფუძველი.

პირველად ცნობილი გერმანელი ეკონომისტის, ერნსტ ენგელის, მიერ იყო წარმოდგენილი მოსაზრება, რომ შემოსავლების ზრდის პირობებში, სურსათის წილი მთლიან დანახარჯებში კლებულობს. ეს დაკირვება არ გულისხმობს, რომ შემოსავლების ზრდისას არ ხდება საკვებ პროდუქტებზე დანახარჯების მატება, არამედ იგი იზრდება უფრო ნელი ტემპით, ვიდრე შემოსავლების მაჩვენებელი. (სურსათზე მოთხოვნა არის არაელასტიური შემოსავალთან მიმართებაში). მოსახლეობა რაც უფრო მდიდარი ხდება, მეტ ფულს ხარჯავს საკვებ პროდუქტებზე, შეიძლება უფრო მაღალი ხარისხისას, მაგრამ ამ დანახარჯების ზრდა არ არის შემოსავლის ზრდის პროპორციული. როცა ოჯახი მოიხმარს საკვები პროდუქტების საჭირო მინიმუმს, შემოსავლების გაორმაგება არ გამოიწვევს სურსათის დანახარჯების გაორმაგებასაც.

დიაგრამა 2.7
სურსათის წილი სამომხმარებლო კალათაში



მშპ ერთ სულ მოსახლეზე, აშშ დოლარი

მაშასადამე, დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში სურსათის დანახარჯების წილი აჭარბებს განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს, ვინაიდან მოსახლეობა შემოსავალს პირველ რიგში ანანილებს საკვები პროდუქტების საჭირო მინიმუმზე. ქვეყნის განვითარებასთან და შემოსავლების მატებასთან ერთად კი იზრდება ტანსაცმლის, საყოფაცხოვრებო წივთების და სხვა სამომხმარებლო საქონლის დანახარჯები უფრო მაღალი პროპორციით, საკვებზე დანახარჯების წილი კი კლებულობს.

აღნიშნული კანონზომიერება ასახვას პპოვებს ქვეყნის სამომხმარებლო კალათის შემადგენლობაზე, რომლის განსაზღვრა ხდება ქვეყნის მოსახლეობის დანახარჯების სტრუქტურიდან გამომდინარე (spending pattern). განვითარებადი ქვეყნების სამომხმარებლო კალათებში სურსათის წილი მაღალია. საქართველოს სამომხმარებლო კალათაში სურსათი და უალკოჰოლო სასმელები 41,7 პროცენტს შეადგინს, რაც გაცილებით აღემატება შესაბამის მაჩვენებელს დასავლეთ ევროპისა და სხვა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც სურსათის წილი 10-15 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

ინფლაციის დონის შეფასება ხდება სამომხმარებლო კალათის ფასის ცვლილების საფუძველზე. სამომხმარებლო კალათა მოიცავს საშუალო მომხმარებლის მიერ შეძენილ საქონელსა და მომსახურებას. ვინაიდან სურსათის წილი მაღალია განვითარებადი ქვეყნების სამომხმარებლო კალათაში, 2010 წელს სურსათის ფასების მატებამ უფრო დიდი გავლენა მოახდინა დაბალი შემოსავლების მქონე ეკონომიკების ინფლაციაზე. ასეთ ქვეყნებში ინფლაცია უფრო მგრძნობიარეა საკვებ პროდუქტე-

ბზე ფასების ცვლილებაზე. დროთა განმავლობაში ქვეყნის განვითარებასთან და შემოსავლების მატებასთან ერთად მოხდება სამომხმარებლო კალათის სტრუქტურის ცვლილებაც, სადაც სურსათის წილი დაიკლებს და სხვა საყოფაცხოვრებო საქონლის წილი მოიმატებს. შესაბამისად, გარე და შიდა ფაქტორები, რომლებიც გამოიწვევენ საკვებპროდუქტებზე ფასების მატებას, უკვე ნაკლები ძალით იმოქმედებენ ინფლაციაზე.

3. ინფლაციის ფაქტორები

3.1 შრომის პაზარი

არსებული მონაცემებით, 2010 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი დაახლოებით იმდენად გაიზარდა (6.4 პროცენტი), რამდენადაც რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (6.7 პროცენტი). წინა კვარტალთან შედარებით, მცირედით შენელდა დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასის დონის წლიური ზრდის ტემპი და ანაზღაურების ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7.2 პროცენტი შეადგინა.

2010 წლის III კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ერთ დასაქმებულთა წარმოებული დამატებითი ლირებულების მნიშვნელოვანი რეალური ზრდა დაფიქსირდა სექტორში „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა“ – 21.9 პროცენტი. თუმცა აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალში ამ სექტორში წლიური ზრდის მაჩვენებელი დაახლოებით ორჯერ უფრო მაღალი იყო. შრომის ნაყოფიერების ცვლილების მაჩვენებელი ასევე მაღალია მშენებლობის, განათლების, „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობისა“ და ვაჭრობის სექტორებში (8.4, 6.5, 6.0 და 5.6 პროცენტი შესაბამისად). შედარებით მცირე ზრდა იყო სახელმიწოდებული მართვის (3.9 პროცენტი) და სოფლის მეურნეობის (1.9 პროცენტი) სფეროებში.

ერთ დასაქმებულთა წარმოებული დამატებითი ლირებულების მატების საერთო ტენდენციის საპირისპიროდ, 2010 წლის III კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კლება დაფიქსირდა: „სასტუმროები და რესტორნების“

(-18.6 პროცენტი), მრეწველობის (-4.6 პროცენტი), საფინანსო შემავლობის (-4.1 პროცენტი) და ჯანდაცვის (-0.6 პროცენტი) სექტორებში.

პრილი 3.1

2010 წლის III კვარტალში ერთ დასაქმებულთა წარმოებული რეალური დამატებითი ლირებულება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით

	დამატებითი ლირებულების ზრდის ინდექსი
სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	101.9
მრეწველობა	95.4
მშენებლობა	108.4
ვაჭრობა	105.6
სასტუმროები და რესტორნები	81.4
ტანსპორტი და კავშირგაბმულობა	106.0
საფინანსო შემავლობა	95.9
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	121.9
სახელმიწოდებული მართვა, თავდაცვა	103.9
განათლება	106.5
ჯანდაცვა და სოციალური დახმარება	99.4
სულ, ეკონომიკაში	106.4

2010 წლის III კვარტალში, ეროვნულ ეკონომიკაში დაქირავებულთა საშუალოთვიურმა ხელფასმა 609.5 ლარი³ შეადგინა, რაც 7.2 პროცენტით აღემატება 2009 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში, ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში დაფიქსირდა წინა წლიური ხელფასის ზრდა. სექტორები ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზრდის განსაკუთრებით მაღალი ტემპით გამოიჩინდა „თევზეობა“, მეთევზეობა“ და „სასტუმროები და რესტორნები“. ამ დარგებში 2010 წლის III კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დაქირავებით

³ წყარო: სანარმოთა და შრომის მიმდინარე სტატისტიკის დაკვირვების მონაცემები, საქართველო

დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასებმა შესაბამისად, 66 და 27 პროცენტით მოიმატა. მაღალი ზრდა დაფიქსირდა ასევე „ჯანდაცება და სოციალური მომსახურების“ (20 პროცენტი), „კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის“ (19 პროცენტი), განათლების (14 პროცენტი), „სამთომოპოვებელი მრეწველობის“ (14 პროცენტი), „დამამუშავებელი მრეწველობის“ (13 პროცენტი) და ვაჭრობის (12 პროცენტი) სექტორებში. საშუალო ხელფასების შედარებით მცირე ზრდას ჰქონდა ადგილი მშენებლობის (8 პროცენტი) და სახელმწიფო მმართველობის (7 პროცენტი) სექტორებში.

2010 წლის III კვარტალში, მსგავსად წინა კვარტალისა, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წლიურად შემცირდა მხოლოდ ორ სექტორში - „ოპერაციები უძრავი ქონებით“ (-8 პროცენტი) და „სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა“ (-5 პროცენტი).

პროცენტი 3.2

2010 წლის III კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2009 წლის III კვარტალთან შედარებით

	ნომინალური ხელფასის ზრდის ინდექსი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	95.4
თევზჭერა, მეთევზეობა	165.8
სამთომოპოვებელითი მრეწველობა	113.6
დამამუშავებელი მრეწველობა	113.0
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის ნარმება და განაწილება	105.7
მშენებლობა	107.6
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	112.1
სასტუმროები და რესტორნები	126.7
ტანსპორტი და კავშირგაბმულობა	107.0
საფინანსო შუამავლობა	102.5
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	92.1
სახელმწიფო მმართველობა	107.4
განათლება	114.3
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დამარება	120.5
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	118.6
საშუალო ეკონომიკაში	107.2

2010 წლის III კვარტალში კვლავ შეინიშნებოდა სხვადასხვა დარგების საშუალო ხელფასის დონეებს შორის მნიშვნელოვანი უთანაბრობა. ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი კვლავ დაფიქსირდა „საფინანსო შუამავლობისა“ (1,279 ლარი, წინა კვარტალთან შედარებით 7 პროცენტით ნაკლები) და „სახელმწიფო მმართველობის“ სექტორებში დაქირავებულების (939 ლარი, წინა კვარტალთან შედარებით 1.4 პროცენტით ნაკლები) მიხედვით. ამ მონაცემებით, ხელფასი „საფინანსო საქმიანობისა“ და „სახელმწიფო მმართველობის“ სექტორებში მთლიანი ეკონომიკის მასშტაბით საშუალო ხელფასის დონეს შესაბამისად 2.1 და 1.5-ჯერ აჭარბებდა. ყველაზე დაბალი საშუალო ხელფასი, ტრადიციულად, აღინიშნა „განათლების“ (298 ლარი) და „მეთევზეობის“ (386 ლარი) სფეროებში დაქირავებით დასაქმებულთა შორის, ამ დარგებში დასაქმებულთა საშუალო ხელფასებმა შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით საშუალო ხელფასის 49 და 63 პროცენტი შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ „სექტორულ“ ხელფასებს შორის საანგარიშო კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის უცვლელია, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით 9 პროცენტით შემცირდა (ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასის შემცირების ხარჯზე).

2010 წლის III კვარტალში ეკონომიკის მასშტაბით შორის პროდუქტულობის ზრდის ტემპი წინა კვარტალთან შედარებით საგრძნობლად შენელდა. თუკი II კვარტალში I კვარტალთან შედარებით ზრდის მაჩვენებელმა 5 პროცენტული პუნქტით მოიმატა, III კვარტალში ზრდის მაჩვენებელი მეორესთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

პარალელურად, წინა კვარტალთან შედარებით ქვეყანაში ხელფასების ზრდის ტემპიც გარკვეულ-ნილად (0.4 პროცენტული პუნქტით) შენელდა და მხოლოდ 0.3 პროცენტი შეადგინა.

მთლიანობაში, 2010 წლის III კვარტალში, საშუალო ხელფასი და შრომის პროდუქტიულობა დაახლოებით ერთნაირად გაიზარდა (შესაბამისად 7,2 და 6,4 პროცენტი). შედეგად, მათი თანაფარდობა, ანუ პროდუქციის ერთეულზე პერსონალის ხარჯი თითქმის⁴ არ შეცვლილა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ შრომის ბაზრის დანამიკა ფასების დონის ცვლილებაზე არც მატებისა და არც შემცირების მიმართულებით მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენდა.

3.2 მონეტარული აგრეგატები


2010 წლის მეოთხე კვარტალის განმავლობაში, სარეზიურო ფულის მაჩვენებელი 126,8 ლარით (7,5 პროცენტით) გაიზარდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოს 1822,3 მლნ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, კი მიმდინარე წლის მესამე კვარტალთან შედარებით, მონეტარული ბაზა 8,4 მლნ ლარით (0,5 პროცენტით) გაიზარდა. წინა წლის მესამე კვარტალთან შედარებით კი სარეზიურო ფულის წლიურმა ზრდამ მხოლოდ 4,5 პროცენტი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში, სეპ-მა სავალუტო აუქციონების მეშვეობით 95,0 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა. ამავე პერიოდში, შიდასამთავრობო კონვერტაციების შედეგად საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა 64,0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამდენად, აღნიშნულმა ოპერაციებმა წმინდა უცხოური აქტივები გაზარდა დაახლოებით 159,0 მლნ აშშ დოლარით.

მეოთხე კვარტალში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 18,7 მლნ ლარით გაიზარდა და დეკემბრის თვის ბოლო მონაცემის მიხედვით, მისმა მოცულობამ 809,1 მლნ ლარი შეადგინა.


დისტრიბუტორები

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობათა სახეების მიხედვით 2010 წლის II კვარტალში (ლარი)




დისტრიბუტორები

შრომის პროდუქტიულობა, დაქირავებულთა საშუალოთვიური ხელფასი და პროდუქციის ერთეულზე პერსონალის ხარჯი (წლიური პროცენტული ცვლილება)



დისტრიბუტორები

სარეზიურო ფულის ცვლილება



⁴ ეს იგივეა, რაც ხელფასებზე (ანუ პერსონალზე) განეული დანახარჯი, როგორც მთლიანი რეალური დამატებული ღირებულების (ანუ მშპ-ის) წილი.

ცხრილი 3.3

სარეზერვო ფულის დინამიკა
2009 წ., დეკემბერი-2010 წ., დეკემბერი, თვის ბოლო მონაცემებით,
ათასი ლარი

	დე-09	მარ-10	ივნ-10	სექ-10	დეკ-10
სარეზერვო ფული	1,743,917	1,633,407	1,660,685	1,695,510	1,822,270
ფული მიმოქცევაში	1,457,938	1,398,806	1,460,407	1,500,695	1,618,180
ბანკების დეპოზიტები	285,979	234,601	200,278	194,815	204,090
საკორესპონდენტო ანგარიშები ნაშთები	285,979	234,601	126,538	149,685	143,940
ერთდღიანი დეპოზიტები			73,740	45,130	60,150

ცხრილი N 3.4

საშუალო სარეზერვო ფულის დინამიკა
2009 წ., დეკემბერი-2010 წ., დეკემბერი, თვის საშუალო მონაცემებით,
ათასი ლარი

	დეკ-09	მარ-10	ივნ-10	სექ-10	დეკ-10
სარეზერვო ფული	1,687,663	1,677,721	1,633,634	1,729,024	1,737,455
ფული მიმოქცევაში	1,347,936	1,360,994	1,436,513	1,525,337	1,517,155
ბანკების დეპოზიტები	339,727	316,727	197,121	203,687	220,299
საკორესპონდენტო ანგარიშები ნაშთები	339,727	317,792	136,218	150,875	169,264
ერთდღიანი დეპოზიტები			60,903	52,812	51,035

ცხრილი N 3.5

ფულადი აგრეგატების ცვლილება
2009 წ., დეკემბერი-2010 წ., დეკემბერი, თვის ბოლო მონაცემებით,
ათასი ლარი

	დე-09	მარ-10	ივნ-10	სექ-10	დეკ-10
ფართო ფული /M3/	4,602,749	4,736,237	5,042,418	5,808,209	6,213,673
ფულადი მასა /M2/	2,132,621	2,214,757	2,347,108	2,458,450	2,731,236
ბანკებს გარეთ არსებული ნალი ფული	1,229,436	1,186,814	1,269,456	1,306,717	1,372,989
ლარები მიმოქცევაში	1,457,938	1,398,806	1,460,407	1,500,695	1,618,180
დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	903,185	1,027,943	1,077,651	1,151,733	1,358,247
დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	2,470,128	2,521,480	2,695,311	3,349,759	3,482,437

საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა. მეოთხე კვარტალში, განთავსდა 360,0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, ხოლო დაიფარა 194,7 ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატები. 2010 წლის სექტემბრის ბოლოსათვის მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა 192,3 მლნ ლარიდან, დეკემბრის ბოლოსთვის, 355,1 მლნ ლარამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში, კომერციული ბანკები აქტიურად იყენებდნენ რეფინანსირების სესხებს – დეკემბრის ბოლოსათვის ამ ინსტრუმენტით გაცემული სესხების ნაშთმა 51,9 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, დაფარულ იქნა ბოლო ინსტანციის კრედიტორის მექანიზმით გაცემული სესხი – 15 მლნ ლარის ოდენობით. ასევე, მეოთხე კვარტლის განმავლობაში, კომერციული ბანკები სარგებლობდნენ ერთდღიანი კრედიტებით.

ამ ოპერაციების შედეგად, 2010 წლის მეოთხე კვარტალში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 157,8 მლნ ლარით შემცირდა და – 165,1 მლნ ლარს გაუტოლდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის ზეგავლენით, საანგარიშო პერიოდში, სარეზერვო ფულის მაჩვენებელი 126,8 მლნ ლარით გაიზარდა. მათ შორის, საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები 5,7 მლნ ლარით შემცირდა და 143,9 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო 15,0 მლნ ლარით გაიზარდა კომერციული ბანკების ერთდღიან დეპოზიტებზე არსებული ნაშთები. ამავე პერიოდისათვის, 117,5 მლნ ლარით მოიმატა მიმოქცევაში არსებული ნალი ფულის მოცულობამ და 1618,2 მლნ ლარი შეადგინა. ნალი ფულის მოცულობას კვარტალის განმავლობაში კლების ტენდენცია ქონდა,

თუმცა ახალი წლის მოახლოებასთან ერთად მკვეთრად გაიზარდა, რაც აღნიშნული ცვლადისათვის დამახიასიათებელია.

ფართო ფული

2010 წლის მეოთხე კვარტალში, ფართო ფული M3-ის აგრეგატი 405,5 მლნ ლარით გაიზარდა და 6213,7 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დეპოზიტები 132,7 მლნ ლარით (4,0 პროცენტით) გაიზარდა და დეკემბრის ბოლოს 3482,4 მლნ ლარი შეადგინა. 206,5 მლნ ლარით (17,9 პროცენტით) გაიზარდა ეროვნული ვალუტით დეპოზიტები და პერიოდის ბოლოს 1358,2 მლნ ლარს გაუტოლდა.

ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი, საანგარიშო პერიოდში, 272,8 მლნ ლარით (11,0 პროცენტით) გაიზარდა, რაზეც გავლენა როგორც ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების, ისე მიმოქცევაში არსებული ნალი ფულის (117,5 მლნ ლარით) ზრდამ განაპირობა.

ფართო ფული M3-ის მაჩვენებლის წლიურმა ზრდამ 35,0 პროცენტი შეადგინა, ხოლო ფართო ფული M2-ის მაჩვენებლის წლიურმა ზრდა კი 28,1 პროცენტს გაუტოლდა.


3.3 მონეტარული ინსტრუმენტები

ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლების გაზრდის გამო, აგრეთვე ინფლაციის მოლოდინის კონტროლის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა. თუმცა, ამ პერიოდისათვის სარეზერვო მოთხოვნა არ შეცვლილა.

წინა პერიოდის მსგავსად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშე არსებული თანხები მნიშვნელოვნად აღარ განსხვავდებოდა მინიმალური რეზერვების საშუალოდ დასაცავი


ნაშთისაგან; ამ ორი მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უკვე თითქმის ერთნაირი იყო: საკორესპონდენტო ანგარიშე არსებული თანხის საშუალო კვარტალური მნიშვნელობა 162.1-ს, ხოლო მინიმალური სარეზერვო მოთხოვნით დასაცავი თანხა 158.5 მილიონ ლარს შეადგენდა. ლიკვიდობის მაქსიმალური ნამატი 11 ნოემბერს 125.6 მილიონი იყო, ხოლო ლიკვიდობის მაქსიმალური დეფიციტი 81.7 მილიონი 24 ნოემბერს დაფიქსირდა.

დიაგრამა 3.4 ლარის ლიკვიდობა




დიაგრამა 3.5

ლიკვიდური აქტივების, ვალდებულებების, ლიკვიდობის კოეფიციენტისა და ლიკვიდობის მოთხოვნის დინამიკა




დიაგრამა 3.6 სადეპოზიტო სერთიფიკატები აუქციონების დინამიკა




დიაგრამა 3.7

საბანკო სისტემიდან სეპ-ის მიერ სადეპოზიტო სერთიფიკატებით ღიკვიდობის ამოღება, კომერციული ბანკებისათვის სესხების გაცემა და ღიკვიდობის წმინდა მიწოდება. (მილიონი ლარი)



დიაგრამა 3.8 წმინდა მიწოდების (ამოღება) ფარდობა სარეზერვო ფულთან



საანგარიშო პერიოდში ღიკვიდობის კოეფიციენტი უმნიშვნელოდ გაიზარდა, პერიოდის საშუალო მაჩვენებელი 39,3 პროცენტს მიუახლოვდა, რაც 1,9 პროცენტული პუნქტით მატება წინა კვარტალთან შედარებით.

2010 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკის 3 თვიან სადეპოზიტო სერთიფიკატებზე მოთხოვნა მნიშვნელოვანად გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში სულ განთავსდა 360 მილიონი ლარი, რაც წინა კვარტალთან შედარებით 67 პროცენტითაა გაზრდილი. სადეპოზიტო სერთიფიკატებზე დაწესებული მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ნაკლებად მერყევი იყო და 9,35-დან 9,95 პროცენტამდე ინტერვალში იცვლებოდა. აღსანიშნავია, რომ უმნიშვნელოდ გაიზარდა საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი და 9,6 პროცენტს გაუტოლდა.

რეფინანსირების სესხების აუქციონზე, რომელიც მეორე კვარტალიდან განახლდა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სულ 1409,45 მილიონი ლარის ოდენობის 7 დღიანი რეფინანსირების სესხი გაიცა, წინა კვარტალთან შედარებით შემცირდა 45,3 პროცენტით. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 6,57 პროცენტიდან 7,4 პროცენტამდე გაიზარდა.

საშუალოდ, ღიკვიდობის წმინდა ამოღების სარეზერვო ფულთან ფარდობამ საანგარიშო პერიოდში -7,4 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 1,6 პროცენტისა. მიმდინარე წლის 31 დეკემბრისთვის ღიკვიდობის წმინდა ამოღებამ 165,1 მილიონ ლარი შეადგინა.

ჩანართი 2. ღრმის რეალურ რეზიმში ანგარიშსწორების (RTGS) ახალი სისტემა


საბანკო და საფინანსო ბაზრების დინამიური განვითარება დღის წესრიგში აყენებს ფულადი სახსრების მიმოქცევის ეფექტური და ორგანიზებული სისტემის არსებობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ანგარიშსწორებათა უსაფრთხოება, დროულობა და მინიმალური საოპერაციო დანახარჯი. საქართველოს ეროვნული ბანკის ძალისხმევით 2010 წლის დეკემბრიდან ექსპლოატაციაში შევიდა დროის რეალურ რეზიმში ანგარიშსწორების (RTGS) ახალი სისტემა, რომელმაც მანამდე მოქმედი სისტემა ჩაანაცვლა. ეს უკანასკნელი საკუთარი ფუნქციონალური შესაძლებლობებით ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს, რამაც მისი მოდერნიზების აუცილებლობა წარმოშვა. RTGS ოპერაციათა მართვის მაღალტექნოლოგიური მოდელია, რომელშიც გადარიცხვების დამუშავება და ანგარიშსწორება თანმიმდევრულად, უწყვეტად, რეალურ დროში ხორციელდება. RTGS-ის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა არის ის, რომ მასში ანგარიშსწორება ხორციელდება საგადახდო დავალებების მიხედვით, „გროს“ პრინციპით, ანუ ფულადი სახსრების გადაგზავნა ხდება ინდივიდუალურად თითოეული დავალების მიხედვით. შევნიშნოთ, რომ სისტემაში ფულადი სახსრების მიმოქცევას ადგილი აქვს „ელექტრონული“ სახით: ოპერაციის შედეგის ასახვა იწარმოება მონაწილეთა ელექტრონულ ანგარიშებზე ეროვნულ ბანკში უწყვეტ რეზიმში. ამასთან ანგარიშსწორება საბოლოო და შეუქცევადია. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ საკუდიტო რისკს, რაც ანგარიშსწორების ლაგითაა ხოლმე გამოწვეული. ამ მხრივ დიდია განსხვავება სხვა აპრობირებულ საგადახდო სისტემებთან შედარებით: კერძოდ, BACS (ბანკირთა ავტომატიზებული კლირინგის სერვისი) და EFT (ფულადი სახსრების ელექტრონული ტრანს-

ფერების სისტემა) ოპერაციებს ახორციელებს დღის მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ საათებში და შესაბამისად, აკუმულირებულ მოთხოვნებს ამუშავებს პაკეტური (ჯამური) სახით.

ახალი RTGS სისტემის უშუალო მონაწილეები არიან კომერციული ბანკები და სახელმწიფო ხაზინა. იგი ურთიერთინგრირებულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემასთან (CSD), რისი მეშვეობითაც ბანკებს საშუალება აქვთ, ანგარიშსწორებისათვის არასაკმარისი თანხების შემთხვევაში, დღის განმავლობაში გამოიყენონ სრულიად ახალი ლიკვიდობის მართვის მექანიზმი, როგორიცაა დღის შიდა ლიკვიდობის საშუალება. ბანკებს დღის შიდა ლიკვიდობის საშუალებით შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ CSD სისტემაში სათანადოდ რეგისტრირებული უზრუნველყოფის შემთხვევაში. თუ დღის ბოლოს ბანკის მიერ ვერ განხორციელდა შიდა ლიკვიდობის საშუალების დაფარვა, მაშინ ის იგივე უზრუნველყოფის გამოყენებით RTGS და CSD სისტემების მეშვეობით ავტომატურად გარდაიქმნება ერთდღიან სესხად. დღის შიდა ლიკვიდობის საშუალების შექმნასა და გამოყენებას ახორციელებს თავად ბანკი. ყოველივე ზემოთქმული საშუალებას აძლევს ერთი მხრივ, ეროვნულ ბანკს – უფრო ეფექტურად განახორციელოს ფულად-საკუდიტო პოლიტიკა, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას.

2002 წლიდან მოყოლებული RTGS-ის ძველი და ახალი სისტემების მეშვეობით დამუშავებულ იქნა დაახლოებით 36.8 მლნ საბუთი საერთო ლირებულებით 252.1 მლრდ ლარი. 2010 წელს თანხობრივი ბრუნვის მაჩვენებელი 122 პროცენტით გაიზარდა და 75.3 მლრდ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 3.9 RTGS-ის მეშვეობით განხორციელებული გადარიცხვები (2002-2010 წწ.)




3.4 პანცავორისი სესხები

2010 წლის მეოთხე კვარტალში ბანკთაშორის საკრედიტო ბაზარზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ოდენობამ უმნიშვნელოდ, 1 პროცენტით მოიმატა და 1.89 მილიარდი ლარი შეადგინა.

ინა პერიოდისაგან განსხვავებით, იკლო აშშ დოლარში გაცემულმა სესხებმა და 130.56 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად 210.4 მილიონისა. მნიშვნელოვნად შემცირდა ევროში გაცემუ-

დიაგრამა 3.10

ბანკთაშორის მოკლევადიანი სესხების ინდექსები და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



ლი სესხების ოდენობა და მისი მოცულობა 2.168 მილიონ ევროს გაუტოლდა.

რაც შეეხება გარიგებების ვადიანობას, ერთ-დღიანი სესხების ნილი ლარით გაცემულ სესხებში კვლავ მაღალია და 66.5 პროცენტს შეადგინს. მსგავსი ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა ერთი დღის ვადით გაცემულ სესხებში აშშ დოლარსა და ევროში. კვლავ გაიზარდა აშშ დოლარით გაცემული ერთდღიანი სესხები და 89 პროცენტი შეადგინა ნაცვლად 56 პროცენტისა, ხოლო ევროში გაცემული ერთდღიანი სესხების ნილმა იკლო და 30 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 63 პროცენტისა.

ბანკთაშორის სესხების ბაზარზე აღწერილი გარიგებების დინამიკა შესაბამისად აისახებოდა საპროცენტო განაკვეთებსა და ბანკთაშორის სესხების ინდექსებზე; TIBR-1-ის საშუალო კვარტალური მნიშვნელობა ნაცვლად 7.17 პროცენტისა 5.94 პროცენტს შეადგენდა; ხოლო TIBR-7 7.92 პროცენტი ნაცვლად 6.68 პროცენტისა.

3.5 საპანკო სექტორი

საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 2010 წლის მეოთხე კვარტალში 339,2 მლნ ლარით (ანუ 7,5 პროცენტით) გაიზარდა და 4840,7 მლნ ლარი შეადგინა. გასული წლის დეკემბერთან შედარებით კი დეპოზიტების მოცულობა 43,5 პროცენტით გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული დეპოზიტების ზრდა 2,6-ჯერ ჩამოუგარდება წინა კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელს (19,3 პროცენტი). ასეთი სხვაობა ნაწილობრივ აიხსნება იმ ფაქტით, რომ მესამე კვარტალში საქართველოს რკინიგზის მიერ გამოშვებულ იქნა 246 მლნ დოლარის ღირებულების ევრო ბონდები, რომლის შემოსავალი განთავსებულ იქნა საბანკო ანგარიშებზე და განაპირობა დეპოზიტების მაჩვენებლის მკვეთრი ცვლილება. თუ აღნიშნულ ტრანზაქციას გამოვრიცხავთ დეპოზიტების დათვლისას, მაშინ მესამე კვარტალში დაფიქსირებული დეპოზიტების ზრდა შეადგენდა 7,5 პროცენტს, რაც მეოთხე კვარტლის დეპოზიტების ზრდის მაჩვენებლის ტოლია.


უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ეროვნული ვალუტით გამოსახული მაჩვენებელი გაიზარდა 132,7 მლნ ლარით (4 პროცენტით) და 3482,4 მლნ ლარი შეადგინა. უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების ძირითადი ზრდა, 90,2 მლნ ლარი, შეინიშნება იურიდიული პირების ანგარიშებზე. აღსანიშნავია, რომ უცხოური ვალუტის დეპოზიტებში 57 პროცენტი ფიზიკური პირების დეპოზიტებს უკავია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტების ვადიანობის (maturity) სტრუქტურას, 68,9 პროცენტი ვადიან დეპოზიტებს უკავია და წინა კვარტალთან შედარებით 2,4 პროცენტული პუნქტით გაზრდილია.

უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები (გამოსახული აშშ დოლარით) გაზრდილია 110 მლნ აშშ დოლარით (5,9 პროცენტით) წინა კვარტალის მონაცემებთან შედარებით. აღნიშნული ზრდა


აღმატება უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ეროვნულ ვალუტაში გამოსახული მაჩვენებლის ცვლილებას, რაც განპირობებულია ლარის გაცვლითი კურსის აშშ დოლართან გამყარებით. საანგარიშო პერიოდში, ლარი 1,9 პროცენტით გამყარდა აშშ დოლართან მიმართებაში.

ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები საანგარიშო პერიოდში 206,5 მლნ ლარით (17,9 პროცენტით) გაიზარდა და 1358,2 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების ზრდა მეტნილად იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშებზე მოდის. კვლავ მაღალი რჩება ფიზიკურ პირების (87 პროცენტს) დოლარიზაციის მაჩვენებელი იურიდიულ პირებთან (58 პროცენტი) შედარებით. ეროვნული ვალუტის დეპოზიტებში თუ ფიზიკურ პირებს 21 პროცენტი უკავიათ, უცხოური ვალუტის დეპოზიტებისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 57 პროცენტს აღწევს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ვალუტაში იურიდიული პირების დეპოზიტების 85 პროცენტს მიმდინარე ანგარიშები და სხვა მოთხოვნამდე დეპოზიტები წარმოადგენს, ფიზიკური პირებისთვის კი აღნიშნული მაჩვენებელი 65 პროცენტია. ეს მიუთითებს, რომ ფიზიკური პირების უფრო დიდი ნაწილი იყენებს ეროვნული ვალუტის დეპოზიტებს გრძელვადიანი მიზნებისთვის.


დიგრამა 3.11 ლარის დეპოზიტების შემადგენლობა




ღიაბრამა 3.12 უცხოური ვალუტის დეპოზიტების შემადგენლობა



ღიაბრამა 3.13 დეპოზიტები ეროვნული ვალუტით



ღიაბრამა 3.14 დეპოზიტები უცხოური ვალუტით



■ ფიზიკური პირების დეპოზიტები
■ ოურიდიული პირების დეპოზიტები

მეოთხე კვარტალში დაფიქსირებული სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 2010 წლის დეკემბერში, სექტემბერთან შედარებით 2,5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და თვის ბოლოსთვის 71,94 პროცენტს გაუტოლდა. რკინიგზის დეპოზიტების გათვალისწინების გარეშე აღნიშნული მაჩვენებელი 70,1 პროცენტს შეადგენს, რაც მცირედით განსხვავდება წინა კვარტლის ანალოგიური მაჩვენებლისგან.

საანგარიშო პერიოდში, საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 0,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7,9 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით მიღებულ დეპოზიტებზე ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიურმა საშუალო შენონილმა განაკვეთმა 10,2 პროცენტი შეადგინა და სექტემბერთან შედარებით 0,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ეს ზრდა განპირობებულია ფიზიკური პირებისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების 0,7 პროცენტული პუნქტით მატებით. ხოლო ეროვნულ ვალუტაში იურიდიული პირების დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 1,3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 8,8 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება უცხოური ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებს, წლიური განაკვეთი 7,6 პროცენტის დონეზეა და სექტემბრის თვეში დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებელს უტოლდება. ფიზიკური პირებისთვის ეროვნული ვალუტით დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების ზრდამ უცხოური ვალუტის დეპოზიტთან შედარებით უნდა სტიმულირდა გაუწიოს ფიზიკური პირების დანაზოგების განხორციელებას ეროვნულ ვალუტაში, რაც ეკონომიკის დოლარიზაციის შემცირების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

2009 წლის დეკემბერთან შედარებით, ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა 0,5 პროცენტული პუნქტით, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე - 1,6 პროცენტული პუნქტით.

2010 წლის მეოთხე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 420,9 მლნ ლარით გაიზარდა და 6337,1 მლნ ლარი შეადგინა. ზრდა უმთავრესად იურიდიული პირების სესხების მატებითაა გამოწვეული, რამაც 9,4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ფიზიკური პირებისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 5,2 პროცენტი იყო. 2009 წლის დეკემბრიდან 2010 წლის ბოლოსთვის სესხების მოცულობა გაზრდილია 20,6 პროცენტით. ნოემბერ-დეკემბრის თვეებში სესხების ზრდამ წინა თვესთან შედარებით შეადგინა 4,2 პროცენტი და 4,0 პროცენტი, სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში იყო 0,4 პროცენტიანი და 1,1 პროცენტიანი კლება, ხოლო წლის დანარჩენ თვეებში სესხების თვიური ზრდის ტემპი 0,6 პროცენტი-2,8 პროცენტის ფარგლებში იყო. მეოთხე კვარტალში სესხების ზრდა გამოწვეულია ფიზიკური პირების, ვაჭრობისა და მომსახურების, ენერგეტიკისა და მშენებლობის სფეროებზე გაცემული სესხების მატებით.


ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები გაიზარდა 39,0 მლნ ლარით (2,4 პროცენტით) და 1651,9 მლნ ლარს გაუტოლდა. ზრდა აღნიშნებოდა მოკლევადიან სესხებზე, გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით კი შემცირდა. საანგარიშო პერიოდისათვის, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების 53,6 პროცენტი იურიდიულ პირებზე მოდის. ამასთან, 55,8 პროცენტი გრძელვადიანი სესხებია.

უცხოურ ვალუტაში დაკრედიტების მოცულობა, გამოსახული აშშ დოლარით, გაზრდილია 260,5 მლნ აშშ დოლარით (10,9 პროცენტით) და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 2642,8 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ამ კატეგორიის სესხების 69,3 პროცენტი იურიდიული პირებისათვის გაცემული რესურსებია, ხოლო 81,4 პროცენტს გრძელვადიანი დაკრედიტება შეადგენს.


უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების მოცულობა გაზრდილია 10,9 პროცენტით.

აღსანიშნავია, რომ ზრდა დაფიქსირდა ნოემბერ-დეკემბრის თვეებში, მაშინ როდესაც ოქტომბრის თვეში შემცირდა უცხოური ვალუტის სესხების მოცულობა. მეოთხე კვარტალში ეს ზრდა განპირობებულია უმთავრესად იურიდიული პირების გრძელვადიანი სესხებით.


დიაგრამა 3.15 მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით




დიაგრამა 3.16 მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით




დიაგრამა 3.17 გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით



დიაგრამა 3.18 გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით



დიაგრამა 3.19 ვადაგადაცილებული დავალიანებები




2010 წლის მეოთხე კვარტალში ვადაგადაცილებული სესხები 28,5 მლნ ლარით (14,1 პროცენტით) შემცირდა და 174,0 მლნ ლარს გაუტოლდა. ხოლო დავალიანებების პროცენტული წილი მთლიან სესხებში შემცირებულია 0,68 პროცენტული პუნქტით წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით და 2,75 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული ფაქტორი სესხების ხარისხის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

საბანკო სისტემაში საპროცენტო განაკვეთები სესხებზე 2010 წლის მეოთხე კვარტალში 1,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და წლიური 17,7 პროცენტი შეადგინა. ეს გამოწვეული იყო უცხოური ვალუტით დაკრედიტების განაკვეთების კლებით 1,8 პროცენტული პუნქტით 14,9 პროცენტად. უცხოურ ვალუტაში იურიდიული პირებისთვის სესხები წლიური 13,9 პროცენტის ფარგლებში გაიცემოდა. ეროვნული ვალუტით სესხების საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი კი 22,6 პროცენტია, რაც სექტემბრის ანალოგიური მაჩვენებლის ტოლია. 2009 წლის დეკემბერთან შედარებით საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში სესხებზე - 4,4 პროცენტული პუნქტით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში სესხებზე კი 0,8 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში საბანკო სექტორის ფინანსური სტაბილურობის შემდეგი მაჩვენებლები დაფიქსირდა: საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი - 17,4 პროცენტი, უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA) - 1,7 პროცენტი, ხოლო უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE) - 9,6 პროცენტი. მესამე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უკუგების კოეფიციენტი კაპიტალის ზრდა შეინიშნებოდა, რამაც აქტივების შემოსავლიანობაზე (ROA) და კაპიტალის შემოსავლიანობაზე (ROE) შეადგინა 0,3 და 1,6 პროცენტული პუნქტი, შესაბამისად; ხოლო ადეკვატურობის კოეფიციენტი შემცირდა 0,8 პროცენტული პუნქტით.

დიაგრამა 3.20 სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები



ჩანართი 3. მაკროკრულების პოლიტიკის გამკაცრება

მოწყიდვული პოლიტიკის გამკაცრებასა და მინიმალური სარტყელი მოთხოვნების ეტაპობრივ ზრდასთან ერთად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ასევე გაზარდა კომერციული ბანკების საზედამხედველო მოთხოვნების ნორმატივები. 2010 წლის 1 ნოემბრიდან კომერციული ბანკების საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტის მინიმალური ზღვარი დაუბრუნდა 2008 წლის აგვისტოს დონეს და ლიკვიდობის კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30 პროცენტისა. ეს საზედამხედველო მაჩვენებელი 2008 წლის სექტემბრის ბოლოს 20 პროცენტამდე იქნაშემცირებული აგვისტოს მოვლენების შედეგად წარმოქმნილი პრობლემების ფონზე. ამან გაზრდილი ეკონომიკური რისკების პირობებში დამატებითი სახსრები გამოუთავისუფლა საბანკო სისტემას. შექმნილმა ლიკვიდობის დეფიციტმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საბანკო სექტორში ლიკვიდური სახსრების ადეკვატურ დონეზე შენარჩუნების როლს ქვეყნის საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში. ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და

მაკროეკონომიკური რისკების შემცირებასთან ერთად აუცილებელია საზედამხედველო ნორმატივების ნორმალურ დონეზე დაბრუნება.

ასევე გამკაცრდა კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა, რაც სავალუტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული აქტივების რისკის წონის 50 პროცენტიდან 75 პროცენტამდე გაზრდით გამოიხატა. აქტივების უცხოურ ვალუტაში ფორმირება წარმოშობს სავალუტო და ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეულ საკრედიტო რისკებს, რადგანაც გაცვლითი კურსის მნიშვნელოვან ცვლილებებს შეუძლიათ უარყოფითად იმოქმედონ კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და მოგებაზე და ასევე ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში მსესხებლების გადახდისუნარიანობის შემცირების გამო საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა ბანკების სწორედ ასეთი რისკებისაგან დასაცავად არის საჭირო და ახალი მოთხოვნების მიხედვით ბანკებს კაპიტალის სახით უფრო მეტი სახსრების შენარჩუნება მოუწევთ უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივებისთვის.

3.6 გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები

მოგეხსენებათ საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას ფასების სტაბილურობა წარმოადგენს. ამდენად მნიშვნელოვანია ყველა იმ ფაქტორის მონიტორინგი და ღრმა ანალიზი რაც ფასების სტაბილურობაზე ახდენს გავლენას. ზოგადად ითვლება რომ მცირე და ღია ეკონომიკის ქვეყნებში მჭიდრო კავშირი არსებობს გაცვლით კურსსა და ინფლაციას შორის რადგან ერთის მხრივ გაცვლითი კურსი განსაზღვრავს იმპორტირებული საქონლის ფასს და ამ უკანასკენელის წილი საკმაოდ მაღალია სამომხმარებლო კალათაში, ხოლო მეორეს მხრივ იგი გავლენას ახდენს ქვეყნის მთლიან ეროვნულ შემოსავლებზე. გაცვლითი კურსის რისკი აგრეთვე ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საბანკო სექტორისათვის, რადგან ნაწილობრივ დოლარიზებულ ეკონომიკაში მსესხებლები არ არიან სათანადო ჰეჭირებული, რაც წარმოშობს გაცვლითი კურსის შეუსაბამობით გამოწვეულ საკრედიტო რისკს⁵.


2010 წლის მეოთხე კვარტალში ლარის გაცვლითი კურსს გამყარების ტენდენცია ჰქონდა თუმცა შეინიშნებოდა მცირე მერყეობები. ლარის ნომინალურმა გაცვლითმა კურსმა დოლართან მი-

მართებაში საშუალოდ 1.7735 შეადგინა და მეოთხე კვარტალში კუმულატიურად 1.9 პროცენტით გამყარდა (იხ. დიაგრამა 3.21), ხოლო ევროსთან და ფუნტ სტერლინგთან მიმართებაში, ლარი შესაბამისად 4.4 და 4 პროცენტით გამყარდა. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარებამ, საანგარიშო პერიოდში, კუმულატიურად 2.2 პროცენტი შეადგინა. ხოლო რაც შეეხება ლარის რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს, საანგარიშო პერიოდში იგი 5.6 პროცენტით გამყარდა.

2010 წლის მეოთხე კვარტალში, ლარის გაცვლითი კურსის გამყარება ძირითადად ქვეყნაში შემოსულმა უცხოურმა ინვესტიციებმა, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა და კომერციული ბანკების მხრიდან უცხოური ვალუტის ღია პოზიციების დახურვამ განაპირობა. აგრეთვე, ლარის გამყარებას ხელს უწყობდა საერთაშორისო ბაზრებზე არსებული დოლარის გაუფასურების ტენდენცია და შესაბამისად წარმოშობილი ლარის გამყარების მოლლიდინები. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ნომინალურთან შედარებით კი უფრო მკვეთრი გამყარება მეტწილად განპირობებული იყო საქართველოში სამომხმარებლო ფასების მაღალი ზრდის ტემპით მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით.

უცხოური ვალუტის მიმართ ლარის გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტის ბაზარზე მოთხოვნა-მინიჭებით დგინდება. ზოგადად, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას ძირითადად იმპორტი განაპირობებს რაც ექსპორტით და უცხოური კაპიტალის შემოძინებით უნდა ფინანსდებოდეს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს რომ ეროვნული ბანკის მიერ მოწყობილი სავალუტო აუქციონები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოთხოვნა-მინიჭების დროებითი დისბალანსით გამოწვეული კურსის მკვეთრი მოძრაობების თავიდან ასაცილებლად.

დიაგრამა 3.21 ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის დინამიკა
(2009-2010 წლები)



⁵ იხ.: ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2009.


საქართველოს ეროვნული ბანკის ხელთ არსებული წინასწარი მონაცემებით⁶ 2010 წლის მეოთხე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაიზარდა და 356 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ასევე წინასწარი შეფასებით, წლიურად კლება შეინიშნება მიმდინარე ტრანსფერებში, თუმცა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 27 პროცენტი და 50 პროცენტით არის გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტურიზმი-დან მიღებული შემოსავლები.

შესაბამისად, ტურიზმიდან მიღებული გაზრდილი შემოსავლები და მომატებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ადგილობრივ ვალუტაზე მოთხოვნას წარმოშობდა და მას გამყარების მიმართულებით უბიძგებდა. 2010 წლის მეოთხე კვარტალში შეინიშნებოდა აგრეთვე კომერციული ბანკების მხრიდან წინა კვარტალში ჭარბად შეძნილი ვალუტის გაყიდვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის მიერ მოწყობილი სავალუტო აუქციონები რომლის მიზანიც მოთხოვნა-მიწოდების დროებითი დისბალანსით გამოწვეული კურსის მკვეთრი მოძრაობების თავიდან აცილებაა (იხ.: დიაგრამა 3.24).


დიაგრამა 3.22 ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი (2008-2010 წლები)



დიაგრამა 3.23 ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი (2007-2010 წლები)




დიაგრამა 3.24 სავალუტო ბაზარზე სებ-ის მიერ განხორციელებული ინტერვენციები



⁶ შეგახსენებთ რომ, საგადამხდელო ბალანსის დაზუსტებული მონაცემები ცნობილი ხდება კვარტალის დასრულებიდან 90 დღის შემდეგ.


ღიაზრამა 3.25

საგალუტო ბაზარზე სებ-ის მიერ განხორციელებული წმინდა შესყიდვები




ღიაზრამა 3.26

საქართველოს მიმდინარე ანგარიშისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა



ღიაზრამა 3.27


საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



კვარტალის მიწურულს ეს მოლოდინები შეიცვალა ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში 1.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა დეპოზიტების დოლარიზაციის დონე თუმცა 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა სესხების დოლარიზაცია. დეპოზიტების დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი თავის მხრივ განპირობებულია აგენტების მოლოდინით მომავალში ლარის კურსის შესაძლო გაუფასურებასთან დაკავშირებით. ამას ემატება პოლიტიკური რისკებით განპირობებული ზოგადი ფინანსურული ფაქტორიც რაც ლარის მიმართ მოსახლეობის უნდობლობით გამოიხატება და დოლარს, შედარებით უსაფრთხო ვალუტის სტატუსს ანიჭებს.

ღიაზრამა 3.28 სესხების და დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტები



უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე ეკონომიკის დოლარიზაციის დონე და სპეციულაციური კაპიტალი, რომელსაც ბაზარზე გარკვეული მოლოდინების ფორმირება წარმოშობს. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში დასაწყისში წინა პერიოდებისავაგან განსხვავებით ლარის გამყარების მოლოდინი წარმოიშვა რამაც ლარზე მოთხოვნაში თავისი წვლილი შეიტანა. აღნიშნული მოლოდინები ძირითადად დოლარის საერთაშორისო ბაზრებზე დაცემის ტენდენციას უკავშირდებოდა, თუმცა უკვე

3.7 გამოშვება და მოთხოვნა

2010 წლის მესამე კვარტალში ქვეყანაში მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას ჰქონდა ადგილი. ამ პერიოდში წინა წლის მესამე კვარტალთან შედარებით რეალური მშპ⁷ 6.7 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება ნომინალურ ზრდას, საანგარიშო პერიოდში მიმდინარე ფასებში მშპ-ის წლიურმა ზრდამ 17.5 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, მშპ-ის დეფლატორი წინა წლის მესამე კვარტალთან შედარებით 10.2 პროცენტით გაიზარდა.

როგორც ცხრილი 3.6-ში მოყვანილი მონაცემები მოწმობს, კვარტალური მშპ-ის რეალურ წლიურ ზრდაში უდიდესი წლიული ვაჭრობის, დამამუშავებელი მრეწველობის და ტრანსპორტის სექტორების


შექმნილი დამატებითი ღირებულების მატებამ შეიტანა (მსგავსად 2010 წლის II კვარტალისა). მშპ-ის რეალურ ზრდაში საგრძნობი წლიული შეიტანეს ასევე ეკონომიკის შემდეგმა სექტორებმა: „მშენებლობა“, „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“, „სასტუმროები და რესტორნები“, „საფინანსო საქმიანობა“, და „კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება“. მშპ-ის მთლიან ზრდაში მცირედი წლიული მიუძღვის ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ასევე კავშირგაბმულობის სექტორებს. დანარჩენი სექტორებში შექმნილი დამატებითი ღირებულების ცვლილებამ უმნიშვნელო გავლენა მოახდინა მშპ-ის რეალურ ზრდაზე.

⁷ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

ცხრილი 3.6 ეკონომიკური სექტორების წვლილი ქვეყნის რეალურ მშპ-ის ზრდაში 2010 წლის III კვარტალი, (%)

	წინა წლის ნომინალური ნონები	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	7.7%	-1.8%	-0.1%
სამთომპოვებითი მრეწველობა	0.7%	3.6%	0.0%
დამამუშავებელი მრეწველობა	7.6%	18.3%	1.4%
ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	2.5%	2.9%	0.1%
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	3.2%	-3.5%	-0.1%
მშენებლობა	6.3%	6.5%	0.4%
ვაჭრობა: ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნანარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	12.8%	11.7%	1.5%
სასტუმროები და რესტორნები	1.9%	15.7%	0.3%
ტრანსპორტი	6.4%	13.9%	0.9%
კავშირგაბმულობა	3.5%	2.9%	0.1%
საფინანსო საქმიანობა	2.2%	12.2%	0.3%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	4.4%	7.6%	0.3%
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	2.9%	2.4%	0.1%
სახელმწიფო მმართველობა	13.5%	0.6%	0.1%
განათლება	4.4%	3.5%	0.2%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	5.5%	2.9%	0.2%
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	2.7%	9.7%	0.3%
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მომმარებისთვის	0.1%	11.0%	0.0%
ფინანსური შუამაგლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-1.3%	6.4%	-0.1%
მშპ საპაზისო ფასებში	86.9%	6.5%	
გადასახადები პროდუქციაზე	13.5%	7.6%	1.0%
სუბსიდიები პროდუქციაზე	-0.4%	5.6%	0.0%
მშპ საბაზრო ფასებში	100.0%	6.7%	6.7%

დიაგრამა 3.29
საქართველოს მშპ-ის წამყვანი სექტორების რეალური ზრდის დინამიკა 2004-2010 წლის III კვარტალი



ზემოთ დასახელებული მზარდი სექტორებიდან პისტკრიზისულ პერიოდში შედარებით მდგრადი ზრდით სამი მათგანი შეიძლება გამოვყოთ: „დამამუშავებელი მრეწველობა“, „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება“ და „სასტუმროები და რესტორნები“. 2009 წლის ბოლოდან, ამ სექტორებში შექმნილი დამატებითი ღირებულების სეზონურობაზე დაკორექტირებული მონაცემები ზრდის მკაფიო ტენდენციით ხასიათდებიან. მიუხედავად ბოლო კვარტალებში ზოგიერთ სხვა სექტორის მაღალი რეალური ზრდისა, მათი ზრდის ტენდენცია არ არის მკაფიოდ გამოხატული.

3.7.1 პერძო და სახელმწიფო მოხმარება

2010 წლის მესამე კვარტალში ნომინალური მშპ მაღალი ზრდით ხასიათდებოდა. საანგარიშო პერიოდში მიმდინარე ფასებში გამოსახული მშპ-ის მნიშვნელოვანი ზრდა მისი გამოყენების ყველა კატეგორიაში დაფიქსირებული ზრდის შედეგი იყო. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში, გასულ წელთან შედარებით, საბოლოო მოხმარებაზე დანახარჯები – 8.6 პროცენტით, მთლიანი კაპიტალის ფორმირება – 72.1 პროცენტით, ექსპორტი – 30.7 პროცენტით, ხოლო იმპორტი – 24.6 პროცენტით გაიზარდა.

2010 წლის მესამე კვარტალში მთლიანი საბოლოო მოხმარება დაახლოებით იმავე დონეზე დაფიქსირდა, რაც წინა კვარტალში. საბოლოო მოხმარების კომპონენტებიდან უმსხვილესი, „შინამეურნეობების მიერ საბოლოო მოხმარება“ მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც გასული წლის მესამე კვარტალთან (14 პროცენტით), ასევე წინა კვარტალთან (3.7 პროცენტით) შედარებით. ამ კომპონენტის ზრდის საპირისპიროდ, გასულ წელთან შედარებით შემცირდა სიდიდით მეორე, „სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯები კოლექტიურ მომსახურებაზე“ (11.9 პროცენტით).


შინამეურნეობების მოხმარების წლიური დინამიკის ანალიზისათვის ამ მაჩვენებლის სამომხმარებლო ფასების ინდექსით კორექტირებას მივმართავთ. სამომხმარებლო ფასების ზრდის ეფექტის გამორიცხვით, შინამეურნეობების მიერ რეალური საბოლოო მოხმარება⁸ წლიურად დაახლოებით 4.8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით კი, რეალურ გამოხატულებაში, ამ კომპონენტმა 3.9 პროცენტით მოიმატა.

როგორც აღინიშნა, 2010 წლის მესამე კვარტალში წლიური კლება (-11.9 პროცენტი) აღინიშნა „სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ კოლექტიურ მომსახურებაზე“ განუულ დანახარჯებში, წინა კვარტალთან შედარებით ამ ხარჯების შემცირებამ კი – 17.1 პროცენტი შეადგინა. გასული წლის მესამე კვარტალთან შედარებით სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ ინდივიდუალურ საქონლისა და მომსახურებაზე დანახარჯები გარკვეულწილად (4.5 პროცენტით) გაიზარდა, თუმცა წინა კვარტალთან შედარებით ამ კომპონენტის ზრდამ მხოლოდ 0.5 პროცენტი შეადგინა.

როგორც მიმდინარე წლის მეორე კვარტალთან შედარებით (15.4 პროცენტით), ასევე გასული წლის მესამე კვარტალთან შედარებით (30.7 პროცენტით) მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონლისა და მომსახურების ექსპორტი. იმპორტი მაღალი ზრდით (24.6 პროცენტი) ხასიათდებოდა წინა წლის მესამე კვარტალთან შედარებით, თუმცა წინა კვარტალთან შედარებით მხოლოდ 4.5 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის აღნიშნული წლიური მატება გარკვეულწილად სავაჭრო საქონელზე ფასების ზრდის შედეგია.

დეაგრამა 3.30

საქართველოს ნომინალური მშპ – გამოყენება ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2004-2010⁹ წწ. (მლნ ლარი)



⁸ შინამეურნეობების წილად მიმდინარე წლის მე-3 კვარტალში მთლიანი საბოლოო მოხმარების 79 პროცენტი მოდიოდა

⁹ 2010 და წლის მონაცემები საპროგნოზო შეფასებებს წარმოადგენს.

3.7.2 ინვესტიციები

განხილულ პერიოდში ძირითად კაპიტალში ინვესტირების ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მაღალი იყო – 43.6 პროცენტი. დაახლოებით ამდენითვე (44.3 პროცენტით) გაიზარდა იგი წინა კვარტალის მაჩვენებელთან შედარებით.

საწარმოთა მარაგები კვლავ გაიზრდა, თუმცა ზრდის ტემპი წინა კვარტალებში უფრო სწრაფი იყო. ზოგადად, საწარმოთა მარაგები წელს განუხრელად, თუმცა შედარებით დაბალი ტემპით იზრდება, ვიდრე ეს კრიზისამდელ პერიოდში ხდებოდა.

მთლიანობაში, 2010 წლის მესამე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით „კაპიტალის მთლიანი ფორმირების“ მნიშვნელოვან ზრდას (72.1 პროცენტი) ჰქონდა ადგილი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ 2009 წლის შესაბამის პერიოდში ამ კატეგორიის 37-პროცენტიანი წლიური კლება დაფიქსირდა. ეს კატეგორია საანგარიშო პერიოდში, 2010 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, 38.6 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული ზრდა დიდილად ძირითად კაპიტალში შიდა ინვესტიციების მატებამ განაპირობა.

2010 წლის სამ კვარტალში კატეგორია „მთლიანი კაპიტალის ფორმირება“ მუდმივად იზრდებოდა, რამაც ერთის მხრივ, ეკონომიკის სტაბილური განვითარების მიღწევას შეუწყო ხელი, ხოლო მეორეს მხრივ, სამომავლოდ, პოზიტიური მოლოდინების ფორმირება მოახდინა.

3.7.3 2010 წლის პროგნზი

2010 წლის მესამე კვარტალში მშპ-ის 7.7-პროცენტიანი რეალური ზრდა იყო ნავარაუდევი, თუმცა საქატატის ოფიციალური მონაცემებით, კვარტალის წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ 6.7 პროცენტი შეადგინა. აქვე აღსანიშნავია, რომ სეზონურობის ეფექტის გათვალისწინებით და-

კორექტირებული კვარტალური რეალური მშპ-ის ანალიზისას, III კვარტალის მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით 1.1 პროცენტით კლებას აჩვენებს. ანუ, სეზონურობის ეფექტის გამორიცხვით, საანგარიშო პერიოდში რეალური მშპ-ს შემცირება დაფიქსირდა.

არსებული სექტორული და აგრეგირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მშპ-ის დაახლოებით 6-პროცენტიან რეალური წლიური ზრდა არის მოსალოდნელი. ეს მაჩვენებელი, სხვა ანალიტიკურ მაჩვენებლებთან ერთად, დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ფაქტობრივი ზრდის (რამაც 2010 წლის მეორე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 28 პროცენტი შეადგინა) და ასევე, წლის ბოლო კვარტალში მწარმოებელთა და სამომხმარებლო ფასების დონის მატების მაჩვენებლებს ეფუძნება.


მთლიანობაში, 2010 წლის რეალური მშპ-ის ზრდას პროგნოზი წინა კვარტალში მიღებულ შეფასებასთან შედარებით მცირედით დაკორექტირდა. ბოლო შეფასებით, 2010 წელს ეკონომიკის რეალური ზრდა შესაძლოა, 6.5 პროცენტს გაუტოლდეს. სავარაუდოდ, მშპ ნომინალურ გამოხატულებაში დაახლოებით 15-16 პროცენტით გაიზრდება.

2010 წლის 6.5-პროცენტიან რეალურ ზრდას ძირითადად განაპირობებენ ვაჭრობის (1.5 პროცენტი), დამამუშავებელი მრეწველობის (1.3 პროცენტი), ტრანსპორტის (1 პროცენტი), მშენებლობის (0.5 პროცენტი) დარგები. ეკონომიკურ ზრდაზე საგრძნობ დადებით გავლენას მოახდენენ ასევე შემდეგი დარგები: „კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება“, „სასტუმროები და რესტორანები“, „საფინანსო შუამავლობა“ და „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განევა“.

საბოლოო გამოყენების (დანახარჯების) თვალ-საზრისით, 2010 წელს მშპ-ის ნომინალური ზრდის განმაპირობებელი გახდება „კაპიტალის მთლიანი ფორმირებისა“ და „ექსპორტის“ კატეგორიების ზრდა. საბოლოო მოხმარებაზე ხარჯები ნომინალურად კი გაიზრდება, მაგრამ შედარებით ნაკლებად, ხოლო რეალურ გამოხატულებაში დაიკლებს. ეს კლება იმით არის განპირობებული, რომ მთლიანი საბოლოო მოხმარების ზრდა (4.5 პროცენტი) ჩამოუვარდება სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიურ მატებას (7.1 პროცენტი).

სავარაუდოდ, 2011 წელს მშპ-ის რეალური ზრდა დაახლოებით 5.5 პროცენტს გაუტოლდება. 2010 წელთან შედარებით ეკონომიკური საპროგნოზო ზრდის შემცირება რამდენიმე ფაქტორით არის გამოწვეული. ერთი მხრივ, 2010 წლის ზრდაში მნიშვნელოვანი იყო „საბაზო ეფექტი“, (2009 წელს ეკონომიკის 3.8 პროცენტიანი ვარდნა დაფიქსირდა), რაც ვეღარ იძოქმდება 2011 წლის ეკონომიკურ ზრდაზე. მეორე მხრივ, 2010 წლის ზაფხულიდან დაწყებული მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შედეგად მოსალოდნელია საკრედიტო აქტივობის შემცირება, რაც საბოლოო ჯამში რეალურ ეკონომიკაზეც აისახება.

დისტრამა N 3.31
საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდა 2003-2011¹⁰ წწ. (%)



¹⁰ 2010-2011 წლების ზრდები საპროგნოზო შეგასებებს წარმოადგენს

ჩანართი N 4. 2011 წლის ეკონომიკური თავისუფლების იდეასი

Heritage Foundation-ის და The Wall Street Journal-ის ერთობლივ რეიტინგში “Index of Economic Freedom” ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით ქვეყნების ეკონომიკური გარემოს შეფასება ხდება 1995 წლიდან. აღნება 10 კრიტერიუმი, რომელთა მეშვეობით წარმოებს ქვეყნების და რეგიონების გახსნილობის (openness), სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის პრინციპების (The Rule of Law) და კონკურენტუნარიანობის შეფასება. ეს 10 კრიტერიუმია: ბიზნესის თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, სამთავრობო ხარჯები, მონეტარული თავისუფლება, საინვესტიციო თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება, კორუფციისაგან თავისუფლება, შრომის თავისუფლება, საკუთრების უფლება. მიღებულ მაჩვენებელთა საფუძველზე შედგენილი ინდექსის მიხედვით ყოველწლიურად დგება ქვეყნების რეიტინგული სია. ინდექსი ქვეყნებს აფასებს 0-100-მდე შეალის მიხედვით, შემდეგი კატეგორების მიხედვით:

მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის განაწილება

100-80	79.9-70	69.9-60
თავისუფალი	მეტნილად თავისუფალი	ზომიერად თავისუფალი
59.9-50	49.9-0	N/A
მეტნილად თავისუფალებას მიჟღებული	არ შეფასებულია	

2011 წელს შეფასდა 183 ქვეყანა. მსოფლიოს საშუალო ინდექსმა შეადგინა 59.7, რაც 3 პუნქტით მეტია წინა წელთან შედარებით. 2011 წლის რეიტინგის მიხედვით 117 ქვეყანაში ეკონომიკური

თავისუფლება შეფასდა როგორც გაუმჯობესებული, 58 ქვეყნის შემთხვევაში დაფიქსირდა ინდექსის გაუარესება, ხოლო 4 ქვეყნის შეფასება არ შეცვლილა (სწორედ ამ ოთხ ქვეყანას შორის მოხვდა საქართველო). ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გაიზარდა, უმრავლესობას შეადგენენ განვითარებადი ან მზარდი ეკონომიკები.

2011 წელს საქართველოს ეკონომიკური თავისუფლება შეფასებულია 70.4 ქულით, რაც მის ეკონომიკას ანიჭებს 29-ე ადგილს. 2010 წლის შემდეგ საქართველომ შეინარჩუნა რეიტინგი „მეტნილად თავისუფალი“ და მდგომარეობა 4 პოზიციით გაიუმჯობესა (შარშანდელ რეიტინგში საქართველოს 33-ე პოზიცია ჰქონდა). საქართველო თავისი რეგიონის, ანუ ევროპის 43 ქვეყანას შორის მე-15 პოზიციაზეა და მისი საერთო მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე როგორც რეგიონის, ისე მსოფლიოს საშუალო ინდექსი. ყველაზე თავისუფალი ქვეყნების ექვსეულის საშუალო ინდექსს ჩვენი ქვეყნის მაჩვენებელი 13.7 პუნქტით ჩამოუვარდება. პოსტ-საბჭოთა სივრცეში ყველაზე კარგი მაჩვენებელი აქვს ესტონეთს, რომელიც მე-14 ადგილზე მოხვდა ინდექსით 75.2. მეზობელი ქვეყნებიდან აზერბაიჯანი 92-ე ადგილზე (59.2 ქულა), ხოლო სომხეთი 36-ზე (69.7 ქულა).

ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლებში, ბიზნესის, ვაჭრობის, ფისკალური და შრომის თავისუფლების მიმართულებით დაფიქსირებულმა მნიშვნელოვანმა რეფორმებმა სტიმული მისცა ეკონომიკურ განვითარებას. მიუხედავად მკვეთრი ვარდნისა, რაც გამოიწვია რუსეთის აგრესიამ და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, ბოლო 5 წლის მანძილზე ეკონომიკა საშუალოდ 4.5 პროცენტით გაიზარდა. საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია ეკონომიკური ზრდისათვის. კონკურენტული

საგადასახადო რეჟიმი და ეფექტური მარეგულირებელი ჩარჩოები ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს ბიზნესის განვითარებისათვის. რეფორმები ხორციელდება საჯარო ფინანსების მართვაში. კორუფცია მძიმე გავლენას ახდენდა საერთო ეკონომიკური თავისუფლებაზე, თუმცა 2003 წლის შემდეგ მიღებულმა ანტიკორუფციულმა პოლიტიკამ გარკვეული პროგრესი განაპირობა. საანგარიშო წელს მონეტარული თავისუფლების კუთხით მკვეთრი ზრდა გაპათილებულ იქნა გაზრდილი სამთავრობო ხარჯებით.

2011 წელს, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში შემავალი კრიტერიუმების მიხედვით რეიტინგებში საქართველოს პოზიცია, მიღებული ქულები და ცვლილებები წინა წლის ქულებთან შედარებით შემდეგა:

კრიტერიუმი	ქულა	ცვლილება	პოზიცია
ბიზნესის თავისუფლება	87.3	-0.6	№ 18
ვაჭრობის თავისუფლება	89.2	+0.1	№ 6
ფისკალური თავისუფლება	87.5	-1.6	№ 29
სამთავრობო ხარჯები	60.3	-5.0	№ 113
მონეტარული თავისუფლება	76.7	+6.5	№ 69
საინვესტიციო თავისუფლება	70.0	ცვლილების გარეშე	№ 38
ფინანსური თავისუფლება	60.0	ცვლილების გარეშე	№ 38
საკუთრების უფლება	40.0	ცვლილების გარეშე	№ 73
კორუფციისგან თავისუფლება	41.0	+2.0	№ 65
შრომის თავისუფლება	92.1	-1.6	№ 6

ბიზნესის თავისუფლება

კრიტერიუმი ბიზნეს თავისუფლება რაოდენობრივად აფასებს ქვეყანაში ბიზნესის დაწყების, ოპერირების და დახურვის შესაძლებლობას, რეგულაციების სიმძიმეს და სახელმწიფოს ეფექტურობას რეგულირების პროცესში. შეფასება ხდება 100 ბალიანი სისტემით. შეფასება დაუუძნებულია თანაბრად შეწონილ 10 ფაქტორზე, რომლებიც მოპოვებულია მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ ანგარიშის მონაცემების მიხედვით.

2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში საწარმოო გარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო წლების განმავლობაში. ბიზნესის დაწყების პროცესი საკმაოდ ჩქარია და სალიცენზიო მოთხოვნები მნიშვნელოვნად არის შემცირებული. თუმცა, საანგარიშო პერიოდისთვის გაუმჯობესების ტემპი შედარებით შენელდა.

ვაჭრობის თავისუფლება

ვაჭრობის თავისუფლება წარმოადგენს კომპოზიტურ მაჩვენებელს, რომელიც ერთგვარად ზომავს საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის ხელისშემშლელი, სატარიფო და არა-სატარიფო ბარიერების არარსებობას.

2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში საშუალო შეწონილი ტარიფი 2009 წელს იყო 0.4. ქვეყანამ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ვაჭრობის ლიბერალიზაციის კუთხით. იმპორტის თითქმის 86 პროცენტი არ იბეგრება. დღეისათვის, არააღექვატური ინფრასტრუქტურა ზრდის სავაჭრო დანახარჯებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ვაჭრობა საზღვარზე არ აღირიცხება. არასატარიფო ბარიერების არსებობის გამო, ვაჭრობის თავისუფლების მაქსიმალური შეფასებიდან დაკლებული ქულების რაოდენობა შეადგენს 10-ს.

ფისკალური თავისუფლება

ფისკალური თავისუფლება აფასებს ხელისუფლების მიერ დაწესებული სადაგასახადო ტვირთის სიმძიმეს. ის მოიცავს როგორც პირდაპირ გადასახ-

ადებს (საშემოსავლო და მოგების), ისე მთლიან საგადასახადო შემოსავლებს შეფარდებულს მშპ-სთან. შესაბამისად, ფისკალური თავისუფლების კომპონენტი სამი რაოდენობრივი ფაქტორის კომპოზიტია:

- საშემოსავლო გადასახადების სიდიდე;
 - მოგების გადასახადების სიდიდე;
 - მთლიანი საგადასახადო შემოსავლები მშპ-სთან.
- 2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში გადასახადების სიდიდე დაბალია. საშემოსავლო გადასახადი 20 პროცენტია და მისი 15 პროცენტამდე შემცირების გადაწყვეტილების ძალაში შესვლა შეჩერებულია. მოგების გადასახადი 15 პროცენტის შეადგენს. სხვა გადასახადებში შედის დღგ-ს გადასახადი, გადასახადები საპროცენტო შემოსავალსა და დივიდენდებზე. გასულ წელს მთლიანმა საგადასახადო შემოსავლებმა მშპ-ს 24.9 პროცენტი შეადგინა.

სამთავრობო ხარჯები

კრიტიკუმი ითვალისწინებს სამთავრობო ხარჯების მშპ-სთან შეფარდების დონეს. სამთავრობო ხარჯების (მოხმარება და ტრანსფერები) შეფასების შკალა არაწრფივია, რაც გულისხმობს რომ წულთან მიახლოებული სამთავრობო ხარჯები მაქსიმალური ქულებით ფასდება. ხოლო როდესაც სამთავრობო ხარჯები აჭარბებს მშპ-ს 30 პროცენტს, კრიტიკუმი გაცილებით მაღალი ტემპით, კვადრატულად მცირდება (მაგალითად, ხარჯების გაორმაგება მწვევს სამთავრობო ხარჯების თავისუფლების ამსახველი ქულების 4-ჯერ შემცირებას). ანუ ძალიან მაღალი სამთავრობო ხარჯები ფასდება ყველაზე დაბალი ქულებით.

ბოლო წლებში, მთლიანი სამთავრობო ხარჯები მოხმარების და ტრანსფერტების ჩათვლით მშპ-ს 36.4 პროცენტი შეადგინა. ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 9.3 პროცენტამდე გაიზარდა. სამთავრობო ვალებმა კი 30 პროცენტს გადააჭარბა. სახელმწიფო საწარმოების პრივატიზების პროცესი შენელდა.

მონეტარული თავისუფლება

მონეტარული თავისუფლების კრიტიკუმი აერთიანებს ფასების სტაბილურობის და ფასებზე კონტროლის მაჩვენებლებს. ინფლაცია და ფასებზე კონტროლი ხელს უშლის ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას. ფასების სტაბილურობა მაკროეკონომიკური ჩარევის გარეშე თავისუფლება ბაზრის იდეალური ფუნქციონირების გარანტია. მონეტარული თავისუფლების კრიტიკუმის ქულები განისაზღვრება ორ ფაქტორზე დაყრდნობით:

- უკანასკნელი სამი წლის საშუალო შეწონილი ინფლაცია;
- ფასების კონტროლი.

2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2008 წელს განვითარებული მოვლენების და ნინა წლებში დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური ზრდის ფონზე დაფიქსირებული მაღალი ინფლაცია, 2009 წელს დაეცა, ეკონომიკის შემცირების და საერთაშორისო ბაზრებზე ფასების კლების გამო. 2007-2009 წლებში საშუალო ინფლაციამ 4.4 პროცენტი შეადგინა. ფასების ფორმირება ძირითადად ბაზარზე ხდება, თუმცა ხელისუფლებას შეუძლია ფასების კონტროლი მის მფლობელობაში მყოფი საწარმოების მეშვეობით. ამასთან ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო და ენერგეტიკული სფეროების სუბსიდირებას. ადგილობრივ ფასებზე არასაბაზრო ზემოქმედების გამო, მონეტარული თავისუფლების კრიტიკუმის შეფასებიდან ხდება 10 ქულის დაკლება.

საინვესტიციო თავისუფლება

ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყანაში იგულისხმება ქვეყანა, სადაც არ არსებობს ბარიერი და შეზღუდვა საინვესტიციო კაპიტალის ნაკადები-სათვის. ფიზიკურ პირებსა და ფირმებს შეუძლიათ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე თავიანთი რესურსების გადაადგილება ქვეყნის შიგნით თუ საზღვრის გარეთ. ასეთი ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის საინვესტიციო თავისუ-

ფლების კრიტერიუმი შეფასდებოდა 100 ქულით.

2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციები ჩაყენებულია თანაბარ პირობებში. არარეზიდენტ კომპანიებს თავისუფლად და გამჭვირვალედ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა პრივატიზაციაში. რეზიდენტებსაც და არარეზიდენტებსაც თავისუფლალ რეჟიმში შეუძლიათ უცხოური ანგარიშების ფლობა. საერთაშორისო გადარიცხვები და მიმდინარე ტრანსფერები არ არის ლიმიტირებული. კაპიტალური ტრანსფერები არ არის ლიმიტირებული, მაგრამ ზუსტად არის აღრიცხული. არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ არა სასოფლო-სამეურნეო მიწა. სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა შესაძლებელია ქართული სანარმოს დაფუძნების შემთხვევაში, რომელიც მთლიანად არარეზიდენტის მფლობელობაშია.

ფინანსური თავისუფლება

ფინანსური თავისუფლების კრიტერიუმი აფასებს ბანკების აქტიურობასა და მთლიანად ფინანსური სექტორის დამოუკიდებლობას ხელისუფლებისაგან. კრიტერიუმის უმაღლესი ქულები მიენიჭებოდა იდეალურ საბანკო და ფინანსურ გარემოს, სადაც სახელმწიფოს ჩარევა მინიმალურია. დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის მიერ საფინანსო ინსტიტუტების ზედამხედველობა და რეგულირება ლიმიტირებულია და სახელმწიფო არ ფლობს ფინანსურ ინსტიტუტებს. თავის მხრივ ფინანსური ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სხვადასხვა სახის ფინანსური მომსახურების გაწევას. ბანკებს შეუძლიათ თავისუფლად დააკრედიტონ ეკონომიკა, მიიღონ დეპოზიტები და ჩაატარონ ოპერაციები უცხოურ ვალუტაში. უცხოური ფინანსური ინსტიტუტები იპერიოდებენ თავისუფლად და ადგილობრივ ბანკებთან ჩაყენებული არიან თანაბარ პირობებში.

2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სა-

ქართველოს ფინანსურმა სექტორმა განიცადა არ-სებითი ლიბერალიზაცია. 2008 წლის მარტში მიღებულ იქნა აქტი ფინანსური სექტორის გლობალური კონკურენცუნარიანობის შესახებ, რათა გაფართოვებულიყო ამ სექტორის ეფექტურობა. მიუხედავად უკანასკნელ წლებში განვითარებული მოვლენებისა, კერძო სექტორის დაკრედიტება გაიზარდა. არ არსებობს ფორმალური ბარიერები უცხოური ბანკების ფილიალებისა და შვილობილი კომპანიებისათვის. სამთავრობო სექტორი არ ფლობს არცერთი ბანკის აქციებს. თუმცა, მნიშვნელოვანი არაფორმალური ტრანზაქციები გარკვეულწილად აუარესებს საბანკო სექტორის მდგომარეობას. გარდა ამისა, საფონდო ბირჟა მცირეა და პრაქტიკულად განუვითარებელი. მიუხედავად იმისა, რომ საფინანსო სექტორმა გამოავლინა საკმაოდ მნიშვნელოვანი მდგრადობა საგარეო შოკების მიმართ, საერთო სიმტკიცე კლებულობს ქვეყნის ლიმიტირებული ეკონომიკური დივერსიფიკაციის გამო.

საკუთრების უფლება

საკუთრების უფლების კომპონენტი ასახავს ინდივიდების მიერ კერძო საკუთრების აკუმულირების შესაძლებლობას; კერძო საკუთრების დაცულობას მკაფიო და გამჭვირვალე კანონით, რომელსაც აღსრულებს სახელმწიფო; ამ კანონისა და მისი აღსრულების ხარისხს. კრიტერიუმი ასევე აფასებს კერძო საკუთრების ექსპროპრიაციის შესაძლებლობებს და აანალიზებს სასამართლოს დამოუკიდებლობას, კორუფციის არსებობას ამ სფეროში. რაც მაღალია საკუთრების უფლებების ლეგალური დაცვა, მით მაღალია ქვეყნის შეფასება და საპირისპიროდ, სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების ექსპროპრიაციის მაღალი ალბათობის შემთხვევაში, ქვეყნის ქულები მინიმალურია.

2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში ამჟამად მოსამართლემ დანიშვნამდე უნდა ჩაატაროს სპეციალური გამოცდები, თუმცა არარეზიდენტებიც და ადგილობრივი მოსახ-

ლეობაც კვლავ ეჭვის ქვეშ აყენებს სასამართლო სისტემის მიერ საკუთრების დაცვას. კანონი, რომელიც იცავს ინტელექტუალურ საკუთრების უფლებას ძალიან სუსტია.

კორუფციისგან თავისუფლება

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში შემავალი კომპონენტის – კორუფციისაგან თავისუფლების შეფასება ხდება ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ (Transparency International) მიერ გამოქვეყნებული კორუფციის აღქმადობის ინდექსის (Corruption Perceptions Index, CPI) საფუძველზე, რომელიც 180 ქვეყანაში კორუფციის დონეს ზომავს. CPI წარმოადგენს 10 ბალიანი შეალის შემფასებელს. 10 ბალი მიუთითებს ძალიან დაბალი დონის კორუფციას, ხოლო 0 ბალის შემთხვევაში ხელისუფლება ძლიერ კორუფციისგან გამოიწვია. კორუფციის მაჩვენებლისგან კორუფციისაგან თავისუფლების კრიტერიუმის შესაფასებლად ხდება CPI-ს 10-ზე გამრავლება. მაგალითად, თუ ქვეყნის CPI მონაცემი არის 5.5, მისი საერთო ქულა, რომელიც ასახავს კორუფციისაგან თავისუფლებას, იქნება 55.

2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კორუფციის აღქმადობა საქართველოში მნიშვნელოვანად მაღალია. 2009 წლის საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმადობის ინდექსის მიხედვით საქართველო 66-ე პოზიციაზე იმყოფება 180 ქვეყანას შორის. განვლილ პერიოდში ხელისუფლებამ შეძლო წარმატებების მიღწევა კორუფციასთან ბრძოლის მხრივ; სამსახურიდან განთავისუფლდა კორუფციულ გარიგებებში მყოფი ათასობით სახელმწიფო მოსამსახურე, პოლიციელი და საქმაოდ დიდი რაოდენობის, მაღალი რანგის ოფიციალური პირი. კანონის ითვალისწინებს მკაცრ სასჯელსა და ჯარიმებს. თუმცა რამდენიმე

არასამთავრობო ორგანიზაციის მტკიცებით ეს კანონი ეფექტურად ებრძვის კორუფციას დაბალ დონეზე, ხოლო უფრო ზემო დონეზე კორუფცია დაუსჯელი რჩება.

შრომის თავისუფლება

შრომის თავისუფლების კომპონენტი წარმოადგენს რაოდენობრივ მაჩვენებელს, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის შრომის ბაზარზე რეგულაციების სხვადასხვა ასპექტებს. შეფასებისას მხედველობაში მიიღება 6 თანაბრად შეწონილი ფაქტორი. ითვლება, რომ თითოეული მათგანი წარმოადგენს შრომის თავისუფლების რაოდენობრივი შეფასების 1/6-ს. ეს ფაქტორები შემდეგია:

- მინიმალური ხელფასის შეფარდება ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებით ღირებულებასთან;
- დაბრკოლება დამატებითი მოსამსახურის აყვანის შემთხვევაში;
- სიმკაცრე სამუშაო საათებთან მიმართებაში;
- არასაჭირო მოსამსახურის დათხოვნის სირთულე;
- გათავისუფლების წინასწარ შეტყობინების ლეგალური პერიოდი;
- სავალდებულო საკომპენსაციო გადასახადი გათავისუფლების შემთხვევაში.

2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შრომის რეგულირება საქართველოში ძალიან მოქნილია. ასევე მოქნილია, სამუშაო საათების შესახებ მოქმედი წესები. ხოლო სავალდებულო საკომპენსაციო გადასახადი გათავისუფლების შემთხვევაში არ არის დამამძიმებელი.

3.8 საბარეო ვაჭრობა

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2003 წლიდან მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2008 წლის მეორე კვარტალში დაფიქსირდა მაქსიმალური მაჩვენებელი როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის შემთხვევაში. აგვისტოს საომარი მოქმედებების, და შემდგომ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით, 2008 წლის მესამე კვარტალი-დან დაფიქსირდა კვარტალური, ხოლო შემდგომ წლიური ვარდნა, როგორც რეგისტრირებული ექსპორტის, ასევე იმპორტის შემთხვევაში. 2010 წლის მეოთხე კვარტალში რეგისტრირებულმა ექსპორტ-მა 4.0 პროცენტით გადააჭარბა გასული პერიოდის მაქსიმალურ მაჩვენებელს, ხოლო რეგისტრირებული იმპორტი და სავაჭრო დეფიციტი, შესაბამისად, ჯერ კიდევ 11.6 და 17.0 პროცენტით ჩამორჩებოდა და 2008 წლის მეორე კვარტალში დაფიქსირებულ მაქსიმალურ მაჩვენებელს.


2010 წლის მეოთხე კვარტალის მდგომარეობით საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2069.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 31.3 პროცენტით მეტია¹¹. აქედან საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი, 485.4 მილიონი აშშ დოლარი, წინა წლის მაჩვენებელს 54.8 პროცენტით აჭარებს¹². საქონლის რეგისტრირებულმა იმპორტმა, იგივე პერიოდისთვის, 1584.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 25.4 პროცენტით მეტია. შედეგად, 2010 წლის მეოთხე კვარტალის მდგომარეობით, სავაჭრო დეფიციტმა 1099.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 15.8 პროცენტით აღემატება.

2010 წლის მეოთხე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, საქონლის რეგისტრირებული ექს-

პორტი 28.6 პროცენტით, ხოლო რეგისტრირებული იმპორტი და სავაჭრო დეფიციტი შესაბამისად 23.6 პროცენტით და 21.5 პროცენტით გაიზარდა.

დღაგრამა 3.32

ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო დეფიციტი და სავაჭრო ბრუნვა (ათასი აშშ დოლარი)



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ექსპორტის ზრდაში წამყვანი წვლილი ფეროშენად-ნობებმა შეიტანა, რომელიც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის გაორმაგდა (173.2 პროცენტი ზრდა) და პირველ პოზიციაზე გავიდა. ფეროშენადნობების ექსპორტის ზრდა უმეტესწილად საქონლის მოცულობის ზრდის ხარჯზე განხორციელდა (2,38-ჯერადი ზრდა); ფასის ზრდით გამოწვეული ცვლილება შედარებთ მცირეოყო. მეორე პოზიციაზე მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი იყო, რომლის ზრდა ძირითადად მეორადი ავტომობილების ექსპორტის ზრდით არის განპირობებული. გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა შავი და ფერადი ლითონების ექსპორტი. უნდა აღინიშნოს, რომ საბაზისო პერიოდში, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამოსახულებაში შედარები შავ და ფერად ლითონებზე


¹¹ საგარეო ვაჭრობაში მოყვანილ მონაცემთა წყაროს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია. საგარეო ვაჭრობაში მონაცემები საგარეო ვაჭრობისგან განსხვავებულ შედეგს აჩვენებს, მეთოდოლოგიური განხილვებებს გამო.

¹² რეგისტრირებულ ვაჭრობაში არ აღირიცხებოდა საწყობის რეჟიმით შემოსული მანქანები, რომლის ნაწილი შემდგომ რეექსპორტზე გადიოდა. 2010 წლიდან აღნიშნული ტაბის ექსპორტი აღმოჩნდა, რაც ხელოვნურად ზრდის ექსპორტის ზრდის ტემპს, ამავდროულად იგივე მანქანები არ აღირიცხება იმპორტში რაც ამცირებს სავაჭრო დეფიციტს.

ძალიან დაბალი იყო, რის გამოც ექსპორტი მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. მიმდინარე წლის მეორე კვარტალიდან საექსპორტო ათეულში გამოჩნდა ახალი დასახელების სამრეწველო საექსპორტო საქონელი, ნახშირბადიანი ფოლადის წნელები, რომლის ექსპორტის ღირებულებამ საანგარიშო პერიოდში 10.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამავე პერიოდში განხორციელდა 11.2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საფრენი აპარატების ექსპორტი აზერბაიჯანში.

2010 წლის მეოთხე კვარტალში საექსპორტო საქონლის პირველ ათეულს შეადგენდა: ფეროშენადნობები, მსუბუქი ავტომობილები, შავი ლითონების ჯართი, თხილი, ოქრო, სპირტი და სპირტიანი სასმელები, მინერალური სასუქები, სპილენძის მადანი, ღვინო და სპილენძის ჯართი. ამავე პერიოდში ექსპორტირებული საქონლის 4.6 პროცენტი საინვესტიციო საქონელი იყო, 56.1 პროცენტი – შუალედური მოხმარების და 39.2 პროცენტი – სამომხმარებლო.

ღიაბრამა 3.33
ნამდვარი საექსპორტო პროდუქცია 2009 წლის და 2010 წლის მეოთხე კვარტალებში. (ათასი აშშ დოლარი)



რაც შეეხება იმპორტს, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ნავთობპროდუქტების იმპორტი ტრადიციულად პირველ პოზიციაზე იყო. ნავთობპროდუქტების იმპორტი განაგრძობდა ზრდას წლიური 15.7 პროცენტიანი ზრდის ტემპით, რაც განპირობებული იყო ნავთობზე საერთაშორისო ფასების ზრდით. იგივე პერიოდის განმავლობაში, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რომელიც მეორე პოზიციაზე იყო, წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით 25.0 პროცენტით გაიზარდა. საბაზისო პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად (3.5-ჯერ) გაიზარდა ელექტრული სატელეფონო აპარატების იმპორტი.

2010 წლის მეოთხე კვარტალში იმპორტის 15.9 პროცენტს საკვები პროდუქტები შეადგენდა. აქედან, 28.6 პროცენტს (მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 4.5 პროცენტი) ხორბალი და სხვა მარცვლეული. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხორბლის იმპორტზე დანახარჯი გაორმავდა, რაც უმთავრესად საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის ფასის გაძირებით იყო გამოწვეული. ხორბლის შემდეგ საკვები პროდუქტების იმპორტში ყველაზე დიდი წილი ხორცის პროდუქტებს ეჭირა (კვების პროდუქტების 9.7 პროცენტი). შემდეგ ადგილზე შაქრის და მისგან დამზადებული საკონდიტრო ნანარმის იმპორტი იყო (კვების პროდუქტების 9.4 პროცენტი), წლიური 44.1 ზრდის ტემპით. თამბაქოს და ალკოჰოლური ნანარმის იმპორტი მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 2.4 პროცენტს შეადგენდა და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26.4 პროცენტით იყო გაზრდილი.

2010 წლის მეოთხე კვარტალში იმპორტირებული საქონლის 12.7 პროცენტი საინვესტიციო საქონელი იყო, 37.8 პროცენტი – შუალედური მოხმარების და 49.2 პროცენტი – სამომხმარებლო.

2010 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს უმსხვილესი საგაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექს-

პორტის მიხედვით იყვნენ: აზერბაიჯანი, აშშ, თურქეთი, სომხეთი, უკრაინა, კანადა, ყაზახეთი, ბულგარეთი, ეგვიპტე, გერმანია. ამ ქვეყნების წილად მოდიოდა მთლიანი რეგისტრირებული ექსპორტის 73,6 პროცენტი.

იმპორტის მიხედვით უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნები იყვნენ: თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, ჩინეთი, გერმანია, რუსეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბულგარეთი, იტალია, ყაზახეთი. აღნიშნული ქვეყნების წილად მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 69,2 პროცენტი მოდიოდა.

3.9 სამთავრობო მარატიბი

2010 წლის მეოთხე კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა 1630,4 მლნ ლარი შეადგინა. გრანტების სახით მიღებულმა შემოსავალმა 187,7 მლნ ლარი, ხოლო საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებმა 1442,7 მლნ ლარი შეადგინა. მეოთხე კვარტალში მობილიზებული შემოსავლები მშპ-ს¹³ 27,1 პროცენტია, რაც 0,4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა კვარტალის მონაცემზე და 3,7 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მონაცემზე. საგადასახადო ტვირთი (საგადასახადო შემოსავლების ფარდობა მშპ-სთან) 2010 წლის მეოთხე კვარტალში 21,3 პროცენტს შეადგენს, რაც 1,5 პროცენტული პუნქტით ნაკლებია მესამე კვარტალთან შედარებით, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა. მეოთხე კვარტალში მიღებულმა გრანტებმა მშპ-ს 3,1 პროცენტი შეადგინა.

შემოსავლები 3,7 ნაერთი ბიუჯეტის პარამეტრები


(მლნ. ლარი)

	2010 წლის IV კვარტალი	თანაფარდობა შპ-სთან (2010 IV)
მთლიანი შემოსავლები და გრანტები	1630	27,1%
შემოსავლები	1443	23,9%
საგადასახადო შემოსავლები	1280	21,3%
არასაგადასახადო შემოსავლები	162	2,7%
გრანტები	188	3,1%
მთლიანი ხარჯები	2322	38,7%
მიმდინარე ხარჯები	1691	28,1%
კაპიტალური ხარჯები და წმინდა დაურედიტება	641	10,6%
დეფიციტი	-701	-11,6%
დეფიციტის დაფინანსება	701	11,6%
პროგრამიზაცია	87	1,4%
თავისუფალი საპრუნავი სახსრების გამოყენება	81	1,3%
საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა	4	0,1%
საგარეუ ვალდებულებების წმინდა ზრდა	529	8,8%

2010 წლის მეოთხე კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მთლიანმა ხარჯმა 2322 მლნ ლარი შეადგინა, რაც 521 მლნ ლარით მეტია წინა კვარტალთან შედარებით, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 14,7 პროცენტით მოიმატა. მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები (და წმინდა დაურედიტება) მეოთხე კვარტალში შესაბამისად 1691 მლნ და 641 მლნ ლარს შეადგენს. წინა კვარტალთან შედარებით კაპიტალური ხარჯები 18 პროცენტით შემცირდა, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი უცვლელი დარჩა. ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების მშპ-სთან თანაფარდობა 38,7 პროცენტს შეადგენს: 5,1 პროცენტული პუნქტით მეტი წინა კვარტალთან შედარებით და 0,8 პროცენტული პუნქტით ნაკლები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

¹³ 2010 მეოთხე კვარტალის საპროგნოზო მაჩვენებელი (ამ ქვეთავში)

ძირითადი 3.34 ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა



2010 წლის მეოთხე კვარტალში დაფიქსირდა ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 701 მლნ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ს 11,6 პროცენტს შეადგინს. დეფიციტის დაფინანსების ძირითადი წყარო მეოთხე კვარტალში ვალდებულებების ზრდა იყო: საგარეო ვალდებულებების წმინდა ზრდით დეფიციტი 529 მლნ ლარით დაფინანსდა, სახაზინო ვალდებულებების გამოშვებამ (დაფარვების გათვალისწინებით) 4 მლნ ლარი შეადგინა. პრივატიზაციის შედეგად მობილიზებული იქნა 87 მლნ ლარი. თავისუფალი საპრუნავი სახსრების გამოყენებამ 81 მლნ ლარი შეადგინა. 2010 წლის მეოთხე კვარტალში ეროვნული ბანკის საეზერვო ფული გაიზარდა 7,5 პროცენტით (126,8 მლნ ლარი). საეზერვო ფულის ცვლილებაში სამთავრობო ოპერაციების წვლილი 6,86 პროცენტული ჰუნდრია.

საანგარიშო პერიოდის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი (24 პროცენტი) ჰქონდა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს (469 მლნ ლარი), რომელიც წარიმართა საერთო დანიშნულე-

ბის ფულად წაკადებზე მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობისა და ფინანსური და ფისკალური საქმიანობის უზრუნველყოფაზე, აგრეთვე სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე.

2010 წლის მეოთხე კვარტალში სახელმწიფო ხარჯების სიდიდით მეორე კატეგორიაა სოციალურ დაცვაზე განეული ხარჯები, რომელმაც 318 მლნ ლარი (17 პროცენტი) შეადგინა. აღნიშნული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი წარიმართა ხანდაზმულთა სოციალურ დაცვაზე, ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვაზე, სოციალური გაუცხოების საკითხების მოგვარებაზე და ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალურ დაცვაზე.

საანგარიშო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობაზე დაიხარჯა 317 მლნ ლარი (17 პროცენტი). აღნიშნული კატეგორიის ხარჯები ძირითადად წარიმართა საავტომობილო ტრანსპორტისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტებზე, ტურიზმზე და სათბობ-ენერგეტიკაზე.

2010 წლის დეკემბრის ბოლოსთვის მთლიანი სახელმწიფო ვალი წინა კვარტალის ბოლო მაჩვენებელთან შედარებით უმნიშვნელოდ, 0,2 პროცენტით გაიზარდა (22 მლნ ლარით) 9,15 მლრდ ლარამდე. აქედან საგარეო ვალდებულებები გაიზარდა 30 მლნ ლარით, ხოლო საშინაო ვალდებულებები შემცირდა 8 მლნ ლარით. მეოთხე კვარტალის ბოლო-სათვის მთლიანი სახელმწიფო ვალი 2010 წლის მშპ-ს პროგნოზის 44,1 პროცენტს შეადგინს და თითქმის იგივეა რაც მესამე კვარტალის ბოლოს. თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი კრიტიკულ ზღვარს (მშპ-ს 60 პროცენტს) არ აღემატება.

4. ინფლაციის პრობენზი

ინფლაციის პროგნოზირებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს ორ მეთოდოლოგიას: ერთის მხრივ, ბანკი აკვირდება სამომხმარებლო კალათაში შემავალი ცალკეული პროდუქციის ინდექსებს და გარკვეული დაშვებებისა და პროგნოზების საფუძველზე ითვლის საპროგნოზო ინფლაციას, მეორეს მხრივ, კი ბანკი ეყრდნობა ინფლაციის დინამიკის ეკონომიკური მოდელირებას.

სამომხმარებლო კალათის ცალკეული კომპონენტების ფასების ინდექსის შეფასების მიხედვით ინფლაციის პროგნოზი ძირითადად ეყრდნობა სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფების ფასების მოსალოდნელი დინამიკის ექსპერტულ შეფასებას. სამომხმარებლო კალათის ცალკეული ჯგუფების ფასების მომავალი დინამიკის შესაფასებლად გამოიყენება არსებული ინფორმაცია ცალკეული პროდუქციის ფასის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ (სეზონურობა, საერთაშორისო ფასის მოსალოდნელი ცვლილება, ცვლილებები რეგულირებად ფასებში და სხვა). ინფლაციის დინამიკას 2010 წლის ბოლოს და 2011 წლის პირველ ნახევარში სურსათზე ფასების ცვლილება განაპირობებს. 2010 წლის ზაფხულიდან მოყოლებული საერთაშორისო ბაზრებზე ძირითად სასურსათო პროდუქციის ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, რაც არსებული პროგნოზებით კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდება. სურსათის გაძვირების ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი იყო აგრეთვე გასულ წელს ცუდი კლიმატური პირობების შედეგად განსაკუთრებულად ცუდი მოსავალი, რამაც მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაძვირება გამოიწვია. იმ დაშვებით, რომ მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავალი ნორმალური წლების (კლიმატური პირობების

მხრივ) ანალოგიური იქნება, მოსალოდნელია რომ ხილ-ბოსტნეულზე დღეს არსებული ფასები შემცირდეს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (კარტოფილი, ლობიო, ვაშლი, კიტრი, კომბოსტო) გაძვირებას წლიური ინფლაციის მაჩვენებელში საკმაოდ დიდი წლილი შეაქვს. ამდენად სურსათზე ბოლო პერიოდის ფასების ზრდა ერთჯერადი ფაქტორით არის გამოწვეული, მოსალოდნელია რომ ერთი წლის შემდეგ სურსათის გაძვირება ამოვარდება ინფლაციიდან და ინფლაციის მაჩვენებელი დაუბრუნდება მიზნობრივ დონეს. ინფლაციის პროგნოზისათვის გამოყენებული დაშვების შესაბამისად საწვავისა და ტრანსპორტის მგზავრობის გადასახადის ცვლილება 2010 წელს ნავთობპროდუქტებზე ფასების დინამიკასთან შესაბამისობაში იქნება, არსებული პროგნოზებით მოსალოდნელია, რომ ნავთობის ფასი მიმდინარე წელს ბარელზე 90-100 აშშ დოლარის ფარგლებში იმერყევებს. პროგნოზისათვის გამოყენებულია დაშვება, რომ მომავალი წლის განმავლობაში რეგულირებადი ფასები უცვლელად შენარჩუნდება. სამომხმარებლო კალათის სხვა ჯგუფების ფასების დინამიკის პროგნოზირებისათვის გამოყენებულ იქნა არსებული ინფორმაცია ეკონომიკის შესაბამის სექტორზე მოსალოდნელი ტენდენციების შესახებ. აღნიშნული მეთოდით ინფლაციის პროგნოზი გვიჩვენებს, რომ 2011 წლის მეორე კვარტალში მაღალი ინფლაცია შენარჩუნდება და წლის მეორე ნახევრიდან დაიწყებს შემცირებას წლის ბოლოს 7 პროცენტამდე.


აღსანიშნავია, რომ ინფლაციის პროგნოზი წინა კვარტალის პროგნოზთან შედარებით გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება ძირითადად გამოწვეულია საერთაშორისო ბაზრებზე ძირითად სასაქონლო პროდუქტებზე ფასების არასასურველი დინამიკით,

რის შედეგადაც გაიზარდა სასურსათო პროდუქტიაზე გლობალური ფასების კიდევ უფრო გაზრდის მოლოდინი.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მეთოდით გაანგარიშებული ინფლაციის პროგნოზი მიზანშეწონილია ნახევარწლიანი პორიზონტისთვის, რადგან უფრო გრძელვადიანი პერიოდისათვის პროგნოზი კარგავს სიზუსტეს.


დიაგრამა 4.1

ნლიური ინფლაციის პროგნოზი ცალკეული კომპონენტების პროგნოზირების საფუძველზე



დიაგრამა 4.2

ინფლაციის პროგნოზი (ეკონომეტრიკული მოდელის მიხედვით)



ინფლაციის პროგნოზირებისათვის განახლებულ მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$\begin{aligned} \delta p = & 0,10\delta e_{-2} - 0,051\delta e_{-4} + 0,044\delta m_{-1} + 0,046\delta m_{-2} \\ & + 0,003\delta p^{oil}_{-1} + 0,09\delta p^{food}_{-1} - 0,01 lecm; \\ & \text{სადაც:} \end{aligned}$$

P არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი;

m – ფულის მასა;

e – გაცვლითი კურსი ლარი/აშშ დოლართან;

P^{oil} – ნავთობის საშუალო ფასი მსოფლიოში;

P^{food} – ხილ-ბოსტნეულის ფასი;

$lecm$ – გრძლვადიანი წონასწორობის აღმნერი ცვლადია და მას შემდეგი სახე აქვს:

$$lecm = p_{-1} - 0,42e_{-1} - 0,58m_{-1} + 0,8y_{-1} - 5,9$$

ხოლო:

y – მთლიანი შიდა პროდუქტია.

განტოლებაში, აგრეთვე, შედის სეზონური და გადაგვარებული ცვლადები განსაზღვრული სეზონურობისა და სტრუქტურული ცვლილებების აღსაწერად:

მოდელში შემავალი ამხსნელი ცვლადების სამომავლო მნიშვნელობების შესახებ შემდეგი დაშვებები გავაკეთეთ:

- ფართო ფული უცხოური ანაბრების გარეშე 2011 წლის ივნისისათვის წლიურად 17.9 პროცენტით, ხოლო წლის ბოლოს 23.4 პროცენტით გაიზრდება;

- მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური წლიური ზრდა 5 პროცენტი იქნება;

- ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან არ შეიცვლება;

- ხილ-ბოსტნეულის ფასები შეიცვლება სეზონურობის გათვალისწინებით;

- ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე უმნიშვნელოდ მოიმატებს და ერთი ბარელის ღირებულება პირველ კვარტალში საშუალოდ 94 დოლარი იქნება, ხოლო წლის ბოლოსთვის 102-ს მიუახლოვდება;

შეფასებულის მოდელის შედეგად მიღებულ წლიური ინფლაციის პროგნოზს შემდეგი სახე აქვს:

ის. დიაგრამა 4.2

მიღებული შედეგის მიხედვით, წლიური ინფლაცია მიმდინარე წლის ივნისის ბოლოსთვის 13.7 პროცენტიდან 14.33 პროცენტამდე ინტერვალში, ხოლო წლის ბოლოსათვის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 6.6 პროცენტიდან 8.8 პროცენტის ფარგლებში მოხვდება.

5. მონაცენის კოლეგიუმის კომიტეტის გადაწყვეტილებები

2010 წლის მეოთხე კვარტალის განმავლობაში ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სამი სხდომა ჩატარდა. პირველ სხდომაზე პოლიტიკის განაკვეთი გაიზარდა 50 საბაზისო პუნქტით, მეორე სხდომაზე გადაწყდა განაკვეთის უცვლელად დატოვება, ხოლო მესამე სხდომაზე, კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის სარეზერვო ნორმის 5 პროცენტიდან 15 პროცენტამდე გაზრდის შესახებ.

კვარტალის განმავლობაში წლიური ინფლაციის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა ძირითადად ეგზოგენური (მონეტარული პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი) ფაქტორების გავლენის შედეგია. ხორბალზე მსოფლიო ფასის ზრდამ საქართველოს სამომზმარებლო კალათის ძირითადი კომპონენტების გაძვირება გამოიწვია, კერძოდ ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა პურპროდუქტებზე, ბურღლულეულზე, მზესუმზირის ზეთზე, ხორცია და კვერცხზე. ფასების ზრდაზე ასევე საგრძნობი გავლენა იქონია ცუდი კლიმატური პირობების გამო საქართველოში და საერთოდ რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ცუდმა მოსავალმა. ეგზოგენურ ფაქტორებზე მონეტარულ პოლიტიკას გავლენა არ აქვს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი ინფლაციის მოლოდინს წარმოქმნის, რაც აძლიერებს ფასებზე ზენოლას. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი ასევე ითვალისწინებდა, რომ მონეტარული აგრეგატების ზრდის ტემპს შემცირების ტენდენცია ჰქონდა, თუმცა ინფლაციის მოლოდინის შესასუსტებლად და საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მაჩვენ-

ებლის მიზნობრივ დონემდე, 6 პროცენტამდე, შესამცირებლად კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება.

ბოლო თვეების განმავლობაში იზრდებოდა ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება. განსაკუთრებით აღსანიშნავია დეკემბრის თვეში უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ზრდა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკის განაკვეთის გაზრდა უკვე აისახა ეროვნული ვალუტით სესხების საპროცენტო განაკვეთებზე, მაგრამ უცხოური ვალუტით სესხებზე გავლენა არ იქონია. შედეგად გაიზარდა ლარით და უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა. იმისათვის, რომ პოლიტიკის გამკაცრება უცხოური ვალუტის სესხების ბაზარზეც გავრცელებულიყო, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის სარეზერვო ნორმის ეტაპობრივად 15 პროცენტამდე გაზრდის შესახებ. დასაწყისისთვის, 2011 წლის 20 იანვრიდან აღნიშნული სარეზერვო ნორმა 10 პროცენტამდე გაიზარდა. იმისათვის, რომ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება რეალურ ეკონომიკაზე აისახოს გარკვეული დრო არის საჭირო. ამდენად ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილებები ეკონომიკაზე ჯერ სრულად ასახული არ არის. ამასთან მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი მზად არის ინფლაციური ზენოლის გაგრძელების შემთხვევაში, კიდევ უფრო გაამკაცროს მონეტარული პოლიტიკა.

კომიტეტის 22 დეკემბრის სხდომაზე ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ეროვნული ბანკმა შეამცირა საპროცენტო გა-

ნაკვეთის კორიდორი 4-დან 3 პროცენტულ პუნქტამდე, კერძოდ ერთდღიან სესხებზე/დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება, როგორც პოლიტიკის განაკვეთს პლიუს/მინუს ერთნახევარი 2 პროცენტული პუნქტისა. აღნიშნული ნაბიჯი ხელს შეუწყობს ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის მერყეობის კიდევ უფრო შემცირებას და ფულადი ბაზრის აქტივობის ზრდას.

პროცენტული პუნქტი, ნაცვლად მანამდე მოქმედი

საქართველო, თბილისი 0105, ლეონიძის ქ. 3/5
ტელ.: 40 64 88; ფაქსი: 40 65 77; ცხელი ხაზი: 40 64 06
ელ-ფოსტა: Info@nbg.ge; www.nbg.ge